ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

28 მარტიდან
„ახალ თაობასთან" ერთად
პაოლო იაშვილი
100 ლექსი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი
მოიკითხეთ პრესის გავრცელების სტელაჟებზე




ორშაბათი, 28 მარტი, 2016 №73 (6999) ფასი: 50 თეთრი

# „მერაბიშვილი, უგულავა და ახალაია ციხიდან რამდენიმე თვეში გამოვლენ"





გვ.2

## მიხეილ მაჭავარიანი: „რაც კი ცუდი თვისება გვქონდა, ქოცებმა გადაიღეს"



## გია ხუხაშვილი: „პარტია „ქართული ოცნება" არჩევნებში დამოუკიდებლად უნდა გავიდეს"



„ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება არასერიოზული საკითხია"

გვ.3

## ანზორ წოწონავა: „ხაჯიმბას წინააღმდეგ ხალხს მოსკოვი ამხედრებს"



გვ.5

„დევნილთა სოციალური მდგომარეობა ხშირად ბიუროკრატიის გამო უარესდება"

## შორენა ბეგაშვილის შვილი მეხუთე სართულიდან გადავარდა

ISSN 1987-9385



გვ.11

## სამხრეთ ოსეთი თავის ოლიმპიურ კომიტეტს ქმნის

გვ.7

აფხაზეთში კი, დიდ ფეხბურთთან ერთად, ზიკას ვირუსს ელოდებიან



# „მერაბიშვილი, უგულავა და ახალაია ციხიდან რამდენიმე თვეში გამოვლენ“

შორენა მარსაგიშვილი







## მიხეილ მაჭავარიანი: „რაც კი ცუდი თვისება გვქონდა, ქოცებმა გადაიღეს“



**რატომ შეჰყავთ ნაციონალებს დიდი რაოდენობით ქალები საარჩევნო სიაში, რაზე იქნება დამოკიდებული ვიზალიბერალიზაცია, მოიპარა თუ არა მინისტრობისას ფული, რატომ უნდოდა, რომ მიწა გასკდომოდა, რას გეგმავენ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.**

***– მიხეილ სააკაშვილმა ნაცმოძრაობას მოგმართათ რეკომენდაციით – საარჩევნო სიის 50% ქალებით იყოს დაკომპლექტებული. აპირებთ ამ რეკომენდაციის გაზიარებას?***

– ამ რეკომენდაციას აუცილებლად გავითვალისწინებთ. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისას ჩვენი საარჩევნო სიის 30%-ს მანდილოსნები შეადგენდნენ. ჩვენთან ძალიან ბევრი აქტიური ქალი მოვიდა. არასამთავრობოები მოგვიწოდებენ, რომ გენდერულ თანასწორობაზე კანონში ჩაიწეროს. კანონში ამის ჩაწერის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ პარტიის კარი ფართოდ უნდა გაუღო როგორც ახალ სახეებს, ასევე ქალებსაც.

ჩვენი საარჩევნო სიის 50% ქალები იქნებიან, საუბარია როგორც გამოცდილებზე, ასევე ახალ სახეებზე. საქართველოში ბევრია ისეთი ქალი, რომლებსაც თავიანთ სფეროში დიდი გამოცდილება აქვთ. ისინი აუცილებლად გამოადგებიან პარლამენტს. დღევანდელ საკანონმდებლო ორგანოში პროფესიონალების დეფიციტია.

მკითხველს რომ თავი არ შევაწყინო, ძალიან მარტივ მაგალითს მოვიყვან – ეკონომიკური რეფორმები გაიჭედა. მოგების გადასახადი უნდა გაეუქმებინათ. ახლა გვეუბნებიან, ეს 2017 წლამდე ვერ მოხერხდებაო. ეკონომიკაში რომ პრობლემებია, ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩანს. ეკონომიკური ზრდა იანვარში იყო 0.8%. მთავრობა ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად ნაბიჯს არ დგამს. ამათზეა ნათქვამი, ქე რომ არიან და ქე არა. რაც არ უნდა ტურისტი ჩამოუვიდეთ, ესენი ლარს ვერანაირად ვერ დაიჭერენ.

***– რატომ ვერ დაიჭერენ, ხომ დაიწია ლარის კურსმა? მეოცნებეები ამაყად ამბობენ, როგორც კი ქადაგიძე მოშორდა ეროვნულ ბანკს, ეროვნულ ვალუტას სიმყარე შეემატაო.***

– სად გამყარდა ეს ლარის კურსი? რამდენიმე დღე ცოტა დაიწია. ახლა ისევ აწევა დაიწყო. ახლა რა ხდება, ქადაგიძის აჩრდილი გამოჩნდა? საინტერესოა, როგორ ახსნიან ამას.

***– პრინციპში, გამოჩნდა ქადაგიძის აჩრდილი. ხმა გავარდა, ნაციონალები სიაში სვამენო.***

– ხმები მართლა დადის ამაზე, მაგრამ, არა მგონია, ამას ემოქმედა ლარის კურსზე. ეროვნული ვალუტის გამყარება თუ უნდოდათ, მოგების გადასახადი უნდა გაეუქმებინათ. რამდენიმე კვირით ლარის გაძლიერებამ ხელისუფლების ტყუილები და არაპროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ გამოამზეურა. არადა, რამდენს საუბრობდნენ გარე ფაქტორებზე. ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილია.

***– ქადაგიძე და მის გარშემო მოარული ხმები ვახსენეთ. მართლა იქნება ის ნაცმოძრაობის საარჩევნო სიაში?***

– ამ საკითხზე ასე აქტიურად მოლაპარაკებები ჯერ არ მიმდინარეობს. პირადად მე ქადაგიძესთან არ მისაუბრია. რამდენიმე ჩვენი მეგობარი უკვე ელაპარაკა მას. როგორც მათგან ვიცი, ამ ეტაპზე ქადაგიძეს ჯერ არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება, თუ სად გააგრძელებს მომავალში საქმიანობას. მას რამდენიმე კარგი შეთავაზება აქვს. ჩვენი გუნდისთვის ის ძალიან კარგი შენაძენი იქნება.

„ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენი გუნდი დაესუსტებინა. ჩვენი რამდენიმე ლიდერი ციხეში ჰყავთ გამომწყვდეული. ერთ-ერთი მათგანი, გიგი უგულავა, უკვე ნადეჟდა სავჩენკოსთან ერთად მოიხსენიეს. ის პუტინის პირადი პატიმარია, გიგი – ივანიშვილის. დარწმუნებული ვარ, რომ გიგი, ვანო მერაბიშვილთან და ბაჩო ახალაიასთან ერთად, მალე გამოვა ციხიდან.

***– ეს არჩევნებამდე მოხდება თუ შემდეგ?***

– ისინი რამდენიმე თვეში გამოვლენ.

***– ზემოთ თქვით, რომ სიაში პროფესიონალები გინდათ შეიყვანოთ. ძირითადი აქცენტი ისევ იურისტებსა და ეკონომისტებზე გაკეთდება?***

– რატომ მარტო იურისტებსა და ეკონომისტებზე? კულტურის კარგი მენეჯერიც არ გვაწყენდა. კულტურაზე ერთი კაი ამბავი გამახსენდა. ჩვენ დროს პლასიდო დომინგო და ანდრეა ბოჩელი რომ ჩამოვიყვანეთ, დღევანდელი ქოცები გამოვიდნენ და თქვეს, ბიუჯეტის ხარჯზე ცეკვა-თამაში გამართესო. ახლა თავად ჩამოჰყავთ ბიუჯეტის ხარჯზე უცხოელი მომღერლები.

მაგათ ლიდერს ძალიან დიდი ფული აქვს და, სადაც იმ ხის გადატანაში იხდის ამდენ ფულს, ბარემ რამდენიმე ცნობილი მომღერლის ჩამოსაყვანადაც მიეცა. არც ისაა ცუდი, ბიუჯეტის ხარჯზე რომ ჩამოჰყავთ ცნობილი მომღერლები. ეს ძალიან კარგი ამბავია. გაზაფხული დადგა. ეტყობა, გონება გაეხსნათ და მიხვდნენ – საქართველოს სჭირდება რეკლამა.

ქოცებს ლაზიკის პროექტზეც გაეხსნათ გონება, მაგრამ ამის განხორციელება ახლა დაგვიანებულია. ყველა დროს თავისი გამოწვევა აქვს. რამდენიმე წლის წინ დიდი შანსი გვქონდა, რომ ავღანეთიდან და ჩინეთიდან წამოსულ ტვირთებს აქეთ გამოევლო. ახლა ეს ტვირთები უნდა ეძებო.

***– ჩინეთიდან მატარებელი ხომ ჩამოიყვანეს? თქვეს, ტვირთიც იქნებაო.***

– ეს არის ტყუილი და აგორებული პიარი. პიარში კარგად ვერკვევით და ამათ რა უნდა მოგვატყუონ. ტვირთებზე ახლა უნდა ინადირონ. კარგია, მომღერლების ჩამოყვანაში მაინც რომ მოგვბაძეს.

***– ისე, ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, მეოცნებეები ნაციონალებს დაემსგავსნენო.***

– ეგ ექსპერტებამდე ვთქვი მე და ხომ იცი, ამაზე როგორ ვხუმრობ. ეტყობა, კონსპექტები დაგვრჩა და ქოცებმა ახლა ნახეს. სავარაუდოდ, ეს კონსპექტები ბოლომდე წაკითხული არ აქვთ.

***– ამ კონსპექტებში არჩევნების გაყალბების ტექნოლოგიებიც ხომ არ არის ჩამოწიკწიკებული?***

– სრული პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით გეუბნებით, ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს არჩევნები არ ყალბდებოდა.

***– აბა, რატომ ყვიროდა ოპოზიცია?***

– იმიტომ ყვიროდნენ, რომ არ უნდოდათ, მარცხის მიზეზები საკუთარ თავში ეძებნათ. ასეთ დროს გაცილებით მარტივია სხვისკენ ხელის გაშვერა. გახსოვთ, 2012 წელს რა ხმაური იყო ბიომეტრიულ სიებზე? ქოცები

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# თედო ჯაფარიძე: „ევროპის სახალხო პარტია საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარს უჭერს“

**საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით „ევროპის სახალხო პარტიის“ საპატიო პრეზიდენტის განცხადებას პასუხობს და ნაციონალურ მოძრაობას ევროპელი კოლეგებისთვის ცალმხრივი ინფორმაციის მიწოდებაში ადანაშაულებს.**

– მთელი ქართველი საზოგადოება გააოცა ევროპის სახალხო პარტიის საპატიო პრეზიდენტ ჯოზეფ დაულის განცხადებამ, რომელიც მან ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანიის ეთერში გააკეთა და რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ევროპასთან უვიზო მიმოსვლის საკითხს შეეხება.

დღემდე ყველა ევროპულმა ინსტიტუტმა პოზიტიურად შეაფასა საქართველოს პროგრესი ევროინტეგრაციის გზაზე, რომლის გამოხატულებაც იქნება სავიზო რეჟიმის გაუქმება. ისმის კანონზომიერი კითხვა: ვის ინტერესებში შედის მსგავსი განცხადება და შეფასებები? ვინ შეიძლება იყოს დღეს საქართველოს პროდასავლური კურსის წინააღმდეგი? ვფიქრობ, პასუხი აშკარაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული ოპოზიციური ძალა, კერძოდ კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, თავის პარტნიორებს სახალხო პარტიიდან არასწორ, ცალმხრივ ინფორმაციას აწვდის ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. მსგავსი ქმედება ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც კი აგდებს



სახალხო პარტიის წარმომადგენლებს.

ჩვენი ღრმა რწმენით, საერთაშორისო ორგანიზაციები არ უნდა იქცეს საქართველოს შიდაპოლიტიკური ბატალიების არენად, არამედ იყოს ინსტრუმენტი კონსოლიდაციის, საქართველოს ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, რომლის გამოძახილიც იქნება ევროპასთან სავიზო რეჟიმის გაუქმება.

სწორედ საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, მისი ურყეობის საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებზე ისაუბრებს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის აპრილის სესიაზე. ჩვენ კი კვლავაც ვადასტურებთ მზაობას, მივიღოთ ნებისმიერი დაინტერესებული პირი, მათ შორის სახალხო პარტიიდან, რომლებთანაც მზად ვართ კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, რათა ისინი ადგილზე გაეცნონ და თავად დარწმუნდნენ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებსა და რეფორმებში.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი დაული უკვე დიდი ხანია, რაც აღარ არის ევროპარლამენტის ფრაქციის ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე და არც ევროპარლამენტის წევრი. ის გახლავთ პარტიის საპატიო პრეზიდენტი. მას არ შეუძლია, გავლენა მოახდინოს ევროპარლამენტის გადაწყვეტილებაზე. ჩვენი ინფორმაციით, ევროპის სახალხო პარტია მხარს უჭერს გადაწყვეტილებას საქართველოს ევროპასთან უვიზო რეჟიმის შესახებ. ამდენად, ბატონი დაულის განცხადება მხოლოდ მისი სუბიექტური აზრია.

სავიზო ლიბერალიზაციის საკითხზე დიდხანს და ეფექტურად მუშაობდა ბევრი ქართველი პოლიტიკოსი და დიპლომატი. ეს მთელ ქართველი ხალხს ეკუთვნის და მის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. რაც შეეხება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ სხვათა მხრიდან მინიშნებების გარეშეც ერთგულია დემოკრატიის ყველაზე მაღალი მოთხოვნებისადმი, – ნათქვამია თედო ჯაფარიძის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# ლევან მამალაძე აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას ოფიციალურად იწყებს



მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანება „სახალხო ხელისუფლებამ“ პირველი ყრილობა გამართა. შეხვედრაზე სამოქმედო გეგმის პროექტიც წარადგინეს.

ყრილობაზე სკაიპის საშუალებით „სახალხო ხელისუფლების“ ლიდერი ლევან მამალაძეც ჩაერთო.

– მივიღეთ გადაწყვეტილება, ჩავერთოთ აქტიურად საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში, – განაცხადა ლევან მამალაძემ.

**ნიუპოსტი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „პარტია „ქართული ოცნება“ არჩევნებში დამოუკიდებლად უნდა გავიდეს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი გია ხუხაშვილი აფასებს.

***– ბატონო გია, გვესმის შეფასებები, რომ რაც უფრო მოახლოვდება საარჩევნო პერიოდი, სიტუაცია მით უფრო უმართავი გახდება. როგორია თქვენი შეფასებები?***

– ამ პრობლემებს, რომლებიც დღეს გვაქვს, სხვადასხვა განზომილება აქვს. ერთი განზომილება არის შიგნით, პოლიტიკურ ელიტაში, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან მკვეთრი დაპირისპირება, მაგრამ ამაზე უფრო სახიფათო განზომილებაა მთლიანად პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების დაპირისპირება.

ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ელიტის მძაფრი კრიზისი და ხიდი ამომრჩეველსა და პოლიტიკურ ელიტას შორის პრაქტიკულად ჩატეხილია, რაც კიდევ უფრო ართულებს ამ პრობლემებს.

***– რამდენად დრამატულ სახეს მიიღებს ეს ყველაფერი?***

– მე არ ველოდები ისეთ დრამატულ განვითარებას, როგორიც იყო ჩვენს უახლეს ისტორიაში რამდენიმე. არც იმას ველოდები, რომ ხელისუფლება მოიქცევა ისე, როგორც მოიქცა წინა ხელისუფლება, ეს იქნებოდა 7 ნოემბერს თუ 26 მაისს, მაგრამ სერიოზული პოლიტიკური კრიზისი პოსტსაარჩევნო პერიოდში აუცილებლად გვექნება.

***– გვესმის შეფასებები, რომ ხელისუფლება ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებებით საკუთარ სამარეს თავადვე ითხრის. ასეა?***

– ჩვენ სადისტური ხელისუფლების შემდეგ მაზოხისტური ხელისუფლება მივიღეთ. თუ წინა ხელისუფლება ცდილობდა, სხვებისთვის შეექმნა პრობლემა, დღევანდელი ხელისუფლება იმით არის დაკავებული, რომ ხან ფეხში გაირტყამს და ხან სხვა ადგილებში, როდესაც იარაღს იყენებს. ხელისუფლების ჰუმანური ბუნება, ის, რომ სასტიკად არ ექცევა მოსახლეობას, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ მისი მხრიდან დაშვებული ამდენი პოლიტიკური შეცდომა პრობლემატურია ქვეყნისთვის.

***– ხელისუფლება არც საარჩევნო კამპანიის დაწყებას ჩქარობს. გამუდმებით გვესმის საუბარი ახალ სიაზე, რომელიც ამ ეტაპზე არ საჯაროვდება. შენარჩუნდება კოალიციის არსებული სახე თუ რეალურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ?***

– სკეპტიკურად ვარ განწყობილი, რომ რაღაც რადიკალური ცვლილებები იყოს გატარებული და ახალი, ნათელი სახეები ვიხილოთ „ქართულ ოცნებაში“. ამის რესურსი „ქართულ ოცნებას“ ძალიან მწირი აქვს და ამას აქვს ორი



მიზეზი.

***– რომელ მიზეზებზე საუბრობთ?***

– პირველი მიზეზი გახლავთ ის, რომ „ქართული ოცნება“ ამბიციურ და გაურყვნელ ახალგაზრდა პოლიტიკოსებში არ არის მოდური, არ ასოცირდება პროგრესთან და ისინი თავს იკავებენ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობისგან. არის მეორე მიზეზიც, როდესაც ხელისუფლებაში მყოფი პარტია ცდილობს, თვითორგანიზება მოახდინოს, ეს ძალიან პრობლემატურია. იმიტომ, რომ პირველ რიგებში ყოველთვის კარიერისტები და ძალაუფლებაზე ორიენტირებული ადამიანები ხვდებიან და ნორმალურ ადამიანებს იქ არავინ გააჭაჭანებს.

ეს ორი მიზეზი გვაძლევს იმ სურათს, რომ „ქართული ოცნების“ რეალური განახლების რესურსი ძალიან შეზღუდულია. მხოლოდ რამდენიმე სახეს დაგვანახებენ, თუმცა ესეც არაფრისმთქმელი იქნება.

***– ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომ პირველი ათეული უკვე შედგენილია, რომ ყველა ახალი სახეა და საკმაოდ ახალგაზრდაა. ამის თაობაზე რას იტყვით?***

– კი ბატონო, მაგრამ ვინ? ხარისხსაც ხომ აქვს მნიშვნელობა?! ახალი არ ნიშნავს ხარისხიანს. არჩევნების წინ ადამიანების ბრენდირება ძალიან რთული იქნება. ესენი უნდა იყვნენ უკვე ბრენდირებულნი, ცნობილი, მიზიდულობის ცენტრები უნდა იყვნენ. მათ უნდა იცნობდეს საზოგადოება. ასევე პოზიტიური მუხტის მატარებლები უნდა იყვნენ, ისეთები, როგორიც თუნდაც კვირიკაშვილია.

ეს ერთადერთი მიზიდულობის ცენტრი შექმნა „ქართულმა ოცნებამ“. დღეს ასეთი ადამიანები არ ჩანან. თუ ცნობადობის ხარისხი იქნება დაბალი, ეს წინასაარჩევნოდ დიდ პლუსებს „ოცნებას“ არ მისცემს. აქ სხვა ინტრიგაა.

## „ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება არასერიოზული საკითხია“

***– რა ინტრიგაზე საუბრობთ?***

– ინტრიგა არის ის, „ქართული ოცნება“ მარტო წავა არჩევნებზე თუ კოალიციურად? ეს ორი სცენარია და აქ არის მთავარი ინტრიგა. როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკურ დაძაბულობაზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ეს ერთი ჭრილია, მაგრამ არანაკლებ მწვავე დაძაბულობა გვაქვს ჩვენ კოალიციის შიგნით.

***– რა ხდება შიგნით?***

– ალბათობა იმისა, რომ ეს დაძაბულობა დამთავრდება კოალიციის დაშლით, ყოველდღიურად იმატებს. მე ისედაც მიკვირს, პარტია „ქართულ ოცნებას“ რათ უნდა სხვა პარტიები? რაში სჭირდება საარჩევნოდ, ეს არ მესმის!

***– საით მიანიშნებთ, რომ პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დამოუკიდებლად უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა?***

– სავსებით შესაძლებელი სცენარია. თუნდაც პრაგმატული გაგებით რა პლუსებს აძლევს პარტია „ქართულ ოცნებას“ ნებისმიერი სხვა პარტია, კოალიციაში შემავალი, მე, სიმართლე გითხრათ, რაციონალურად ამის ახსნა მიჭირს. შესაბამისად, ასეთი კოალიციის შენარჩუნება, რომელშიც შიგა მსოფლმხედველური დაპირისპირება არის ძალიან მაღალი, რისთვის სჭირდება ვიღაცას, ესეც ვერ გამიგია. რაციონალურ ლოგიკას ამაში ველარ ვპოულობ.

***– არ გამორიცხავთ, რომ მარტო გავიდეს არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“ კოალიციის დანარჩენი პარტიების გარეშე?***

– მე ასეთ სცენარს ვხედავ და ეს სახელმწიფოებრივადაც სწორი სცენარია და ეს არის სწორედ ევროპული დემოკრატია. როგორც წესი, ევროპაში ასე ხდება, ყველა პარტია უნდა მიდიოდეს არჩევნებზე დამოუკიდებლად, იღებდეს ხალხისგან მანდატს, რადგან ძალაუფლების წყარო რეალურად ხალხია და არა უკანა კარიდან შეპარვა, როგორც ზოგიერთი პარტია ცდილობს.

ხალხისგან ლეგიტიმაციის მიღება, შემდეგში უკვე პარლამენტში საპარლამენტო კოალიციის შექმნა. კონკრეტულად პარტია „ქართულ ოცნებას“ რა პლუსს აძლევს კოალიციაში შემავალ პარტიებთან ალიანსი, მე არ მესმის.

***– რესპუბლიკელებზე რას იტყვით? მათ პროდასავლურ კურსთან აიგივებენ.***

– ამ სიტუაციაში, ერთადერთი, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ რესპუბლიკელების რაღაც პროდასავლური სეგმენტის გაძლიერებაზე, თუმცა „ქართულ ოცნებას“, როდესაც ისინი ახალ



სახეებზე საუბრობენ, შეუძლია ორი-სამი ადამიანის მოყვანა, რომელთაც შეუძლიათ,, ეს სეგმენტი გააძლიერონ. რეალურად რესპუბლიკური პარტია კი არ აძლიერებს ამ სეგმენტს, არამედ აძლიერებს მათგან ორი-სამი ადამიანი. თუ მოძებნიან ასეთ ალტერნატიულ ორ-სამ ადამიანს, მაშინ რაში სჭირდებათ ამხელა ბალასტის აკიდება რესპუბლიკელების სახით, ჩემთვის გაუგებარია.

***– რამდენად დათმობენ რესპუბლიკელები პოზიციებს?***

– დათმობენ რა, მე ძალად სიყვარული არ გამიგია. დღეს კოალიცია არის კლასიკური ქართული ოჯახივით, სადაც მუდმივად ცოლი და ქმარი ერთმანეთზე ძალადობენ, სულ სკანდალებში არიან, მაგრამ გარეთ ეს არ გამოაქვთ და ოჯახის „სიწმინდეს“ ინახავენ სიცოცხლის ბოლომდე. ასეთ არაჯანსაღ ოჯახს მაგონებს ეს ყველაფერი. ჯობია გაეყარონ და ყველამ თავისი გზა იპოვოს. ასეთი არაჯანსაღი ვითარების დიდხანს გაგრძელება აღარ შეიძლება.

***– ღარიბაშვილის დაბრუნებაზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება ღარიბაშვილს, ჩემთვის ეს აბსოლუტურად არასერიოზული საკითხია და არც საინტერესო არ არის.

# „მერაბიშვილი, უგულავა და ახალაია ციხიდან რამდენიმე თვეში გამოვლენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამტკიცებდნენ, ამის გაკეთებას 6 თვე უნდაო. მეოთხე წელია, რაც ხელისუფლებაში არიან და აბა ერთი მაჩვენონ, სად არის ბიომეტრიული სიები.

მაჟორიტარული სისტემა რომ არ გააუქმეს, ეს ჩვენი ბრალია. მაჟორიტარებით რომ სასურველი შედეგის მიღწევა შეიძლება, ამის კონსპექტი მართლა დაგვრჩა და საგულდაგულოდ აქვთ ქოცებს წაკითხული. გაიხსენეთ, რას ამბობდნენ, როგორც კი მოვალთ, მაშინვე გავაუქმებთო. მოვიდნენ, დასხდნენ და ნახეს, რომ არ აქვთ რეიტინგი. შეიცხადეს, ვაიმეო და მაჟორიტარებს ტოვებენ. იმედი აქვთ, რომ მაჟორიტარებში გაძვრებიან.

***– ამის იმედი რის საფუძველზე აქვთ?***

– მიაჩნიათ, რომ მეორე ტური თუ იქნება, მთელი ოპოზიცია მათ კანდიდატს დაუჭერს მხარს.

***– მთელი ოპოზიცია მათ როგორ დაუჭერს მხარს, საარჩევნო კოდექსის შესაცვლელად თქვენნაირ პოზიციაზე არ არიან?***

– ქოცების გარდა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ მაჟორიტარული არჩევნები უნდა გაუქმდეს. ამ ეტაპზე არასაპარლამენტოები საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს მართავენ. ეს მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდება. „ქართული ოცნება“ არაფრის შეცვლას არ აპირებს. ისინი შიშით ელოდებიან არჩევნებს, რადგან კარგად იციან, ოპოზიცია იმაზე მეტ ხმებს აიღებს, ვიდრე ისინი. ჩვენ და „ქართულ ოცნებას“ დაახლოებით ერთნაირი რეიტინგი გვაქვს. დიდი შანსი არსებობს იმისა, რომ პირველ ადგილზე გავალთ. ეს ხელისუფლებას ძალიან აშინებს.

არასაპარლამენტოები მთავრობასთან რამდენიმე შეხვედრას ჩაატარებენ. 15 აპრილამდე ჩვენს პროექტს გამოვიტანთ. ეჭვი მეპარება, რომ ამას მეოცნებეები მხარს დაუჭერენ. ამის მიუხედავად, მათ ერთი შანსი კიდევ მივეცით. ახლო მომავალში გიორგი კვირიკაშვილი სტრასბურში მიდის, სადაც ქოცები იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ ოპოზიციასთან თანამშრომლობენ. სიმართლე უნდა ითქვას, კვირიკაშვილი წინამორბედს სჯობია.

***– რითი სჯობია ღარიბაშვილს მოქმედი პრემიერი?***

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს კაცი აგრესიული არ არის. კვირიკაშვილს მართლა უნდოდა რაღაცების შეცვლა, მაგრამ ამის გასაქანს არ აძლევენ.

***– ვინ არ აძლევს გასაქანს?***

– გარემოცვა, ეტყოდნენ, რად გინდა ამ რაღაცების შეცვლაო და მორჩა. ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ ვიზალიბერალიზაცია დამოკიდებული იქნება არჩევნების შედეგებზე. ქოცები კი სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად არაფერს აკეთებენ. საარჩევნო ოლქები ისე აჩეხეს და დაჩეხეს, ვერავინ ხვდება, რა ხდება. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით, პირდაპირ რომ არ ჩავწერეთ, რომ 2016 წლისთვის საქართველო რეგიონალ-პროპორციულ სისტემაზე გადადის.

***– ნაციონალებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის შესაძლო თანამშრომლობაზე რას გვეტყვით? უკვე ისმის მოსაზრებები, რომ თუ არჩევნებზე სასურველი შედეგი არ დადგა, თქვენ ერთობლივად შეეცდებით სიტუაციის არევას.***

– არჩევნებზე არეულობა, ერთადერთი, ხელისუფლებას აწყობს. მოსალოდნელ არეულობაზეც შეგნებულად ავრცელებენ ხმებს. ასე იყო რუსთავი 2-ის საქმეზეც. ჯერ არეულობა დააანონსეს, მერე გამოაქვეყნეს რუსული სპეცსამსახურების მიერ უკანონოდ მოპოვებული სატელეფონო ჩანაწერები, რითაც რუსთავი 2-თან განცდილი მარცხი გადაფარეს. არადა, რა იყო იმ საუბრებში ისეთი? ვიღაცა ამბობს, თუ მოვლენ, დავხვდეთო.

იგივე ხდება მაესტროს გარშემოც. კარგით, ნაციონალების არ გჯერათ, მაგრამ მამუკა ღლონტი ხომ არ არის ნაციონალი, კაცი საოცარ რამეებს ყვება. ხელისუფლება ერევა ამ ყველაფერში და მოიგონეს ქიბარ ხალვაში და ირაკლი ოქრუაშვილი.

***– ოქრუაშვილი ახსენეთ და მის ბოლოდროინდელ აქტიურობას რითი ხსნით?***

– ოქრუაშვილი მიშა სააკაშვილის წინააღმდეგ ხელისუფლების ოქროს მოწმეა. ამიტომ მას კოჭს უგორებენ.

***– კოჭის გაგორება რით გამოიხატება?***

– მას წართმეული ქონების ნაწილი დაუბრუნეს. ირაკლი ოქრუაშვილი ჩემსავით საჯარო მოხელე იყო და საინტერესოა, საიდან იშოვა ამდენი ქონება? 26 წელია, პარლამენტის წევრი ვარ, მინისტრიც ვიყავი, მაგრამ არაფერი მიშოვია.

***– ცოტა ხნის წინ დეპუტატმა კარლო კოპალიანმა ინტერვიუში გვითხრა, მაჭავარიანმა მინისტრობისას რამდენიმე მილიონი წაიღო სახლშიო.***

– ვაი! რამდენიმე მილიონი წაიღოო? რა უნდა ვთქვა? ყოფილი რაიკომის მდივანი კოპალიანი რას იტყვის ჩემზე, ეს ნაკლებად მაინტერესებს.

***– შეიძლება ნაკლებად გაინტერესებთ, მაგრამ წაიღეთ რამე?***

– რა უნდა წამეღო? მინისტრობიდან რომ გადავდექი, ოპოზიციაში წავედი. წაღებული რომ მქონოდა მილიონები, შევარდნაძე რამეს შემარჩენდა? ეგ კოპალიანი ცუდად გადამეკიდა. პლენარულ სხდომაზე მიკროფონიც იმიტომ მესროლა, რომ შენიშვნა მივეცი.

ინციდენტის მომენტში გიორგი ბარამიძე სიტყვით გამოდიოდა, ეს ზემოდან უყვიროდა რაღაცებს. მე მას ავუხსენი, პარლამენტში კაცი რომ გამოდის, მაშინ კი არ უნდა იყვირო, არამედ, როცა დაამთავრებს გამოსვლას, სიტყვა აიღო და უპასუხო-მეთქი. იმან კიდევ მიკროფონი მესროლა.

ჩვენკენ ხელების გამოშვერასა და მიკროფონების სროლას ის ურჩევნიათ, იმას მიხედონ, რაც მერიაში ხდება. ბაგა-ბაღების დირექტორების გათავისუფლებამ უკვე სერიოზული და სამარცხვინო სახე მიიღო. 26 მარტს საღამოს ვუსმენდი მესტიის გამგებლის მეუღლე ნინა ხატისკაცს, რომელიც, ამავე დროს, თბილისის მერის მოადგილეა. ისეთ დღეში ჩავვარდი, მიწა გამხეთქოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი, მინდოდა.

***– რა თქვა ამისთანა?***

– მიზეზები ახსნა, თუ რატომ გაათავისუფლეს ბაღების დირექტორები. თურმე ისინი თავიანთ მოვალეობას კარგად ვერ ასრულებენ. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ მთელი თბილისის მერია გასაუქმებელია. ისინი არათუ სათანადოდ ვერ ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს, არამედ საერთოდ არაფერს აკეთებენ.

კაცმა არ იცის, რამდენი ტენდერი ჩაეშალათ. საგზაო ინფრასტრუქტურა ისეთ დღეშია, ქუჩაში გავლა შეუძლებელია, ქალაქი პარალიზებულია. ასეთი უსაქმური და უუნარო მერია თბილისს არასდროს ჰყოლია.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნიკა მელია: „უმრავლეს მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტური დაინიშნება“

ნათია ხურცილავა



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მაჟორიტარული ოლქების საზღვრების ახლებური გააზრება სრულიად დააბნევს ამომრჩეველს და ეს არჩევნების დღეს დიდ ქაოსს გამოიწვევს.

**ნიკა მელია:**

— ცესკოს მიერ განხორციელებული ცვლილება საარჩევნო ოლქების საზღვრებთან დაკავშირებით, მინიმუმ, ამომრჩევლის დაბნეულობას გამოიწვევს არჩევნების დღეს და მაქსიმუმ — აღშფოთებას. საარჩევნოდ ოლქების საზღვრები ისეა დადგენილი, როგორც ეს „ქართულ ოცნებას“ სურდა. ცესკოს დამოუკიდებლობის ხარისხზე აქ საუბარი შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, თავში აზრად მოგივიდეს ვანისა და ხონის გაერთიანება. შუაში სამტრედიაა, მაგრამ სამტრედია გამოტოვებულია. ამის მიზეზი არის ის, რომ წინა არჩევნებზე ნაციონალურ მოძრაობას კარგი შედეგი ჰქონდა ხონში, ჩვენი კანდიდატი ფაქტობრივად ციხიდან იყრიდა კენჭს ყოველგვარი წინასაარჩევნო კამპანიის გარეშე. რაც შეეხება ვანს, იქ კარგი შედეგი არ გვქონდა და მოხდა მათი გაერთიანება. ასევე მოხდა თბილისის შემთხვევაშიც.

***— ეს ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის გამო მოხდა?***

— ზოგადად, ოპოზიციის ფაქტორიდან გამომდინარე. სადღაც ნაციონალური მოძრაობა იყო ძლიერი კანდიდატით წარმოდგენილი მაჟორიტარულ ოლქში, სადღაც — სხვა ოპოზიციური პარტია. ხელისუფლებამ იცის, რომ არჩევნებს, ჯამში, ოპოზიცია მოუგებს. ეს ყველაფერი კეთდება მაჟორიტარებისთვის, რადგან პროპორციულ არჩევნებს ხელისუფლება წააგებს.

დარწმუნებული ვარ, რომ უმრავლეს მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტური დაინიშნება. რეგიონულ-პროპორციულ სისტემას ვთავაზობდით ხელისუფლებას, რომელიც მან 2020 წლისთვის გადადო. რადგან ამაზე არ წამოვიდა, აქ ცდილობს ხელისუფლება, ეს მაჟორიტარული ოლქები სათავისოდ გამოიყენოს, თანაც მაჟორიტარი, როგორც ასეთი, აბსოლუტურად კარგავს აზრს. მას სტატუსი არ ექნება.

***— რატომ?***

— რადგან ის იქნება დანომრილი. მაგალითად, საბურთალოს მაჟორიტარი, ასეთი რამ არ იქნება. გლდანის, დიდუბისა და საბურთალოს მცხოვრებლები ერთ მაჟორიტარს აირჩევენ და ის ვერ იქნება მხოლოდ ერთი რაიონის მაჟორიტარი, მაგალითად, საბურთალოსი და ამიტომ მიანიჭებენ ნუმერაციას.

ამას აკეთებს დღეს ცესკო, რომლის ნეიტრალიტეტზე საუბარი შეუძლებელია. არადა, ის უნდა იყოს სრულად ნეიტრალური. წინა ხელისუფლების პირობებში, საზოგადოების მხრიდან ძალიან დიდი გულისწყრომა გამოიწვია ცესკომ, გვახსოვს, ჩაქუჩებით მიცვივდა ხალხი. საზოგადოების იმ ნაწილს, გარკვეულწილად, ჰქონდა საბაბი. ამ დროს კითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს: რა გავაკეთე ასეთი? მაგრამ დღეს ცესკო უარესს აკეთებს და ამ გზით საფუძველს ქმნის, რომ არჩევნების დღე, პირველ რიგში მისთვის, ძალიან მძიმე იყოს.

***— როგორი არჩევნების მოლოდინი გაქვთ?***

— ბიძინა ივანიშვილი ფიქრობდა, რომ საზოგადოების პულსზე ხელი ედო, მაგრამ ვხედავთ, რომ პროცესებს ველარ მართავს.

***— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ხელისუფლება პროცესებს ვეღარ მართავს?***

— ხელისუფლება ცდილობს, აკონტროლოს პროცესები, მაგრამ მეორეა, მართავდე ამ პროცესებს. არ გავა კვირა, რომ არ გაიმართოს გაფიცა, არ იყოს პროტესტი. ჩანს, რომ ხელისუფლება უუნაროა.

***— ბატონო ნიკა, 2007 წელის ნოემბრის აქციები მახსენდება, 2009 წლის 9 აპრილის აქციები. მაშინ იყო ხელისუფლება უუნარო?***

— 2007 წლის პროცესებმა წინა ხელისუფლება ძალიან დააზიანა. რაც არ უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა იყო ამ აქციების გამომწვევი მიზეზები, ხალხი როდესაც ქუჩაში გამოდის, მას აქვს პრობლემა და ამის სათქმელად გამოდის. ადამიანების უმრავლესობა გულწრფელად იყო გამოსული. ლიდერებს რა ჩანაფიქრი ჰქონდათ და ვის მიერ იყვნენ მართულები, ეს მეორე საკითხია, მაგრამ ხალხის უმრავლესობა თავისი პროტესტის გამოსახატად იყო გამოსული. ამან წინა ხელისუფლებას ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა.

# თსუ-სთან ფეხით მოსიარულეთა უფლებების დასაცავად აქცია გაიმართა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან ფეხით მოსიარულეთა უფლებების დასაცავად აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილეების განცხადებით, მძღოლები ქვეითთა უფლებებს არღვევენ, როდესაც ტროტუარზე აჩერებენ მანქანებს.

მათ მძღოლებს პატრულის თანამშრომლებს კანონის აღსრულება და ტროტუარების მანქანებისგან გათავისუფლება მოსთხოვეს, მძღოლებს კი ქვეითებისთვის განკუთვნილი ტროტუარის გათავისუფლებისკენ მოუწოდეს.

— ტროტუარი არის ფრანგული სიტყვა და ნიშნავს ადგილს ფეხით სიარულისათვის და ტროტუარი უნდა დავუთმოთ ქვეითებს. ეს ეხება ყველა მძღოლს, რომელიც ამბობს, რომ რა ქნას, როცა ადგილი არ არის. მაშინ რა ქნას ქვეითმა?! გადავიდეს გზაზე და მანქანების სავალ ნაწილზე იაროს?! — განაცხადა აქციის მონაწილე შალვა ობგაიძემ.

**მედიანიუსი**

# საპოლიციო კონტროლის დროს 192 სისხლის სამართლის დანაშაული გამოვლინდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სპეციალური საპოლიციო კონტროლი განახორციელა.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების მიერ 2016 წლის 23-26 მარტს მიმდინარე საპოლიციო კონტროლის დროს სამართალდამცველებმა 2 ძებნილი პირი დააკავეს.

გამოვლენილი და გახსნილია სისხლის სამართლის 192 დანაშაული, მათ შორის:

ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების (სსკ-ის 236-ე მუხლი) 67 ფაქტი; ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის (სსკ-ის 260-ე მუხლი) 29 ფაქტი; საქართველოში ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანა (სსკ-ის 262-ე მუხლი) — 8 ფაქტი; ძარცვა (სსკ-ის 178-ე მუხლი) 2 ფაქტი.

დაფიქსირდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 966 შემთხვევა, მათ შორის:

ნარკოტიკების უკანონო მოხმარების (ასკ-ის 45-ე მუხლი) 77 ფაქტი; წვრილმანი ხულიგნობის (ასკ-ის 166-ე მუხლი) 28 ფაქტი; დაუმორჩილებლობის (ასკ-ის 173-ე მუხლი) 36 ფაქტი; დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობის (ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლები) 34 ფაქტი;

საპოლიციო კონტროლის მიმდინარეობისას უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ იქნა შემდეგი სახის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: 8 ავტომატი, 8 პისტოლეტი, 4 რევოლვერი, 4 ყუმბარმტყორცნი, 6 შაშხანა, 9 გადაჭრილი სანადირო თოფი, 3 მცირეკალიბრიანი შაშხანა, 50 ხელყუმბარა, 6 ჭურვი, 3 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 3 კვამლმდენი, 7 ამფეთქი ფალია, 8 ელექტროდეტონატორი; 1 კაფსულდეტონატორი, 2.1 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი, 4540 ცალი სხვადასხვა კალიბრის ვაზნა. ასევე, ამოღებულია: 9 შეკვრა და 0,8345 გრ. ჰეროინი, 1,5 გრ. ბუპრენორფინი, 10 შეკვრა და 39 აბი სუბოქსინი, 45 აბი კოდეინი, 8 შეკვრა მარიხუანა, 39 შეკვრა და 450 გრ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება „ბიო“, 250 აბი აქტიფედი, 361 აბი სხვადასხვა ფსიქოტროპული მედიკამენტი, 8 ცალი ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი საინექციოდ გამზადებული შპრიცი და 1 ძირი კანაფი.

საპოლიციო კონტროლის დროს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის დააკავეს — 59, ხოლო ადმინისტრაციული წესით — 148 პირი.

**მედიანიუსი**

# უკანონოდ მოქმედი სამი სახერხი საამქრო აღმოაჩინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონოდ მოქმედი სამი სახერხი საამქრო გამოავლინეს.

გარემოს დაცვის სამინისტროს ცნობით, დაურეგისტრირებელი სახერხი საამქროები ბორჯომის რაიონის სოფელ საკირეში, საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ეზოებში იყო განთავსებული. ადგილზე ნაპოვნია უკანონოდ მოპოვებული მრგვალი მორები და პირველადი გადამუშავების პროდუქტი ფიცარი.

განხორციელდა უკანონოდ მოქმედი სახერხი საამქროების დემონტაჟი, რის შემდეგაც ისინი გადაიტანეს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა შესაბამის ორგანოს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ხე-ტყის გადამამუშავებელი სახერხი საამქროების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვის შესწავლის მიზნით განაგრძობს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

**მედიანიუსი**

# საარჩევნო კომისიებში „ოცნება“ და ნაციონალები ფარულად თანამშრომლობენ?!

**როგორც აქამდე ჩატარებულ ყველა არჩევნებზე, წლევანდელი ოქტომბრის არჩევნების მთავარი „აქილევსის ქუსლიც“ საარჩევნო კომისიები იქნება. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ხელისუფლება, როგორც ჩანს, ფონს გასვლას ზუსტად ამ გზით შეეცდება, მით უმეტეს, რომ როგორც „თაიმერისთვის“ ხდება ცნობილი, „ოცნება“ ამ კუთხით ახალი ტექნოლოგიის გამოყენებას აპირებს.**



საქმე ის არის, რომ ისინი, ვინც წინა არჩევნებზე „ქართული ოცნების“ აქტივისტები იყვნენ და კოალიციის სასარგებლოდ მუშაობდნენ, ოქტომბრის არჩევნებს „დაწინაურებულნი შეხვდებიან“ და აქტივისტობიდან პირდაპირ საარჩევნო კომისიებში გადაინაცვლებენ. უფრო მეტიც, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, საარჩევნო ადმინისტრაცია ნეპოტიზმის ოაზისად იქცა ანუ საარჩევნო კომისიებში ახალ წევრებს მხოლოდ იმ ნიშნით ამტკიცებენ, რომ ისინი წარსულში „ქართული ოცნების“ აქტივისტები და მხარდამჭერები იყვნენ. არადა, ყველაფერი, კონკურსით უნდა ხდებოდეს. ამის ნათელი მაგალითი, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, წალენჯიხა, უფრო კონკრეტულად, №68 წალენჯიხის საოლქო საარჩევნო კომისიაა, რომლის წევრადაც ქეთო მოსიძე დაინიშნა.

ვიდრე დეტალებზე გადავალთ, საქმის დეტალებში უკეთ გარკვევის მიზნით ჩვენი წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას გაგაცნობთ:

„საქართველოს ორგანული კანონის — „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტების საფუძველზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატებიდან, აკმაყოფილებს რა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-11, მე-13 და მე-17 პუნქტების მოთხოვნებს და, ამავდროულად, სახელობითი კენჭისყრის შედეგების შესაბამისად, მიიღო რა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტითა და მე-20 მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი ხმების საჭირო ოდენობა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-7, მე-10 და მე-16 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს: მუხლი 1. №68-ე წალენჯიხის საოლქო- საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნას ქეთო მოსიძე“.

ვინ არის ქეთო მოსიძე? როგორც „თაიმერმა“ გაარკვია, მოსიძე 2012-2014 წლებში საოლქო კომისიაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი და, ამავე დროს, პარტია „ქართული ოცნების“ წევრიც იყო, თუმცა პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წალენჯიხის რაიონული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე ბერდია კალანდია, რომელმაც პარტია პროტესტის ნიშნად რამდენიმე წლის წინ დატოვა, ჩვენთან საუბრის დროს ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

— 2014 წლამდე ქეთო მოსიძე პარტიაში არ ირიცხებოდა, მაგრამ ვადასტურებ, რომ ის 68-ე საოლქოში კომისიაში „ქართული ოცნების წარმომადგენელი“ გახლდათ, — განმარტავს კალანდია და დასძენს, რომ მოსიძე, როგორც მისთვისაა ცნობილი, „ოცნების“ წევრი 2014 წელს ანუ მას შემდეგ გახდა, რაც კალანდიამ პარტია დატოვა.

„თაიმერი“ პარტია „ქართული ოცნების“ წალენჯიხის რაიონული ორგანიზაციის მოქმედ ხელმძღვანელ გოგა გულორდავასაც დაუკავშირდა, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ მოსიძე პარტიის წევრია.

— დიახ, ქეთო მოსიძე პარტიაში მე გავაწევრიანე, — ალიარა „თაიმერთან“ საუბრის დროს გულორდავამ და იქვე დასძინა, რომ ამ ეტაპზე მოსიძე პარტიის წევრი აღარ არის.

— მოსიძემ პარტია იმ მიზეზით დატოვა, რომ ცესკოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში აპირებდა მონაწილეობას, — განმარტავს გულორდავა.

შესაძლებელია, გულორდავა არ ცრუობს და იმ დროს, როცა კონკურსში მონაწილეობდა, მოსიძეს პარტია „ქართული ოცნება“ მართლაც დატოვებული ჰქონდა, მაგრამ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ თავად პარტიამ დამალა, რომ ქეთო მოსიძე მისი წევრი იყო.

„თაიმერი“ საარჩევნო ადმინისტრაციასაც დაუკავშირდა, სადაც განგვიმარტეს, რომ მოსიძეს აპლიკანტის მიერ შევსებულ ანკეტაში პარტიულობა არ მიუთითებია და უბრალოდ, აღნიშნა, რომ 2012-2014 წლებში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იყო.

— თუ გაქვთ დამამტკიცებელი საბუთი, რომ ქეთო მოსიძე დღესაც პარტიის წევრია, ჩვენ შესაბამის ზომებს მივიღებთ, — განუცხადეს „თაიმერს“ საარჩევნო ადმინისტრაციაში.

ზომების მიღება კარგია, მაგრამ ეს პოსტფაქტუმ კი არა, თავიდანვე უნდა ხდებოდეს, თორემ გამოდის, რომ ცესკოს მოტყუება ნებისმიერს შეუძლია ანუ „თაიმერს“ მოსიძის პარტიულობის შესახებ შემთხვევით რომ არ შეეტყო და ამის თაობაზე საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არ ეცნობებინა, მოსიძე ფარულად, რასაკვირველია, „ოცნების“ სასარგებლოდ იმუშავებდა.

გარდა ამისა, თუ ასეთი მოტყუების ერთი პრეცედენტი დაფიქსირდა, რა გარანტია არსებობს, რომ ასეთი „მოსიძეები“ საარჩევნო კომისიებში მრავლად არ არიან?!

სხვათა შორის, „თაიმერმა“ ის ინფორმაციაც მოიპოვა, რომ 68-ე წალენჯიხის საოლქო კომისიის წევრად ქეთო მოსიძის არჩევას მხარი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმაც დაუჭირეს. აქაც ჩნდება კითხვა:

თუ ნაციონალებმა მოსიძის პარტიული საქმიანობის შესახებ იცოდნენ, მხარი რატომ დაუჭირეს? ალბათ, ნაცმოძრაობასაც აწყობს, რომ საოლქოს წევრი ზუსტად მოსიძე გამხდარიყო და არა სხვა, პარტიული გავლენებისგან თავისუფალი ადამიანი. ეს მხარდაჭერა კი, მინიმუმ, აღძრავს ეჭვს, რომ ადგილებზე „ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთო ინტერესები ისევ აქვთ ანუ კოჰაბიტაცია და, შესაბამისად, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა გრძელდება და მოქმედი და ყოფილი ხელისუფლება გაჭირვებულ და მშიერ მოსახლეობაზე კი არა, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს!

**თაიმერი**

# ანზორ წოწონავა: „ხაჯიმბას წინააღმდეგ ხალხს მოსკოვი ამხედრებს“

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთში საზოგადოების დიდი ნაწილი რეფერენდუმის გამართვას მოითხოვს. რეფერენდუმმა უნდა გაარკვიოს, უნდა თუ არა ამომრჩეველს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ამ პოსტზე დიდი დღე არ უწერია.

**ანზორ წოწონავა:**

– აფხაზეთში მიმდინარე პროცესები რუსეთიდან იმართება. კრემლს აღარ მოსწონს რაულ ხაჯიმბა. ხაჯიმბას წინააღმდეგ უკმაყოფილო საზოგადოებას მოსკოვი ამხედრებს. ეს მოვლენები დაკავშირებულია რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებასთან.

რუსეთმა მის მიერ ანექსირებულ აფხაზეთს მოსთხოვა თურქეთთან კონტაქტების გაწყვეტა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა. კრემლის ეს მითითება სოხუმს პირადად გააცნო პუტინის წარგზავნილმა სურკოვმა. აფხაზეთის საოკუპაციო



მთავრობამ ეს ბრძანება ბოლომდე არ შეასრულა. აფხაზეთის მოქალაქეების შირმით აფხაზეთში საქმიანობა გააგრძელეს თურქმა ბიზნესმენებმა. რუსეთმა ეს შეიტყო და ამაზე ძალიან უსაყვედურა რაულ ხაჯიმბას, როცა ის მოსკოვში იმყოფებოდა. ხაჯიმბას თურქულ ბიზნესში პირადი დაინტერესება აქვს.

***– ანუ რუსეთს ხაჯიმბას შეცვლა აქვს გადაწყვეტილი? ახალი კანდიდატურაც ეყოლება.***

– დარწმუნებული ვარ, ხაჯიმბა ამ პოსტზე დიდხანს ველარ დარჩება. ჩემი ვარაუდით, რუსეთისთვის მისაღები კანდიდატურაა სერგეი შამბა. ის ახლა არანაირ თანამდებობას არ იკავებს, მაგრამ პოლიტიკას არ ჩამოსცილებია. შამბა რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსთან დაახლოებული პირია.

***– აფხაზეთის რეჟიმი აცხადებს, რომ თბილისი გაეროს დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდის აფხაზეთზე. აქედან გამომდინარე, ის მოითხოვს ხმის უფლებას გაეროს საპარლამენტო ასამბლეაში.***

– სოხუმს ისევ ლეგიტიმაცია უნდა. ჩვენ, აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები, ქვეყნის საგარეო უწყებასთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციებს ვაწვდით რეალურ ინფორმაციას აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზე, იმაზე, რომ გალში მცხოვრებ ქართველებს არ აქვთ მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება. ყველაფერი კეთდება, რომ ქართველები იქიდან აიყარონ. იქაური რეჟიმი თავის გამართლებასა და ლეგიტიმაციის მიღწევას ცდილობს, გაეროსაც ამიტომ მიმართავს. თუ ვინმე ზრუნავს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელზე, ეს საქართველოს ხელისუფლებაა. მათთვის შემოიღეს ნეიტრალური პასპორტები, რომლებითაც აფხაზეთელები საზღვარგარეთ მიდიან.

***– დაგეგმილია გალის შეხვედრების აღდგენა.***

– გალის შეხვედრები მნიშვნელოვანია. აფხაზური მხარე ამას იმიტომ დათანხმდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. სოხუმის რეჟიმს ცუდი სახელი აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებში. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა არ არის დაშვებული სოხუმში, ისინი სწორ ინფორმაციას მაინც ფლობენ. ეს აფხაზეთშიც იციან. სოხუმს უნდა, როგორმე რეპუტაცია

**„დევნილთა სოციალური მდგომარეობა ხშირად ბიუროკრატიის გამო უარესდება“**



გაიუმჯობესოს და ამიტომ იძულებულია, გალის ფორმატში ქართულ მხარესთანაც ითანამშრომლოს.

◆ ◆ ◆

ანზორ წოწონავა აფხაზეთიდან დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუარესებაზეც საუბრობს:

– დევნილთა 60%-ს შეუწყდა სოციალური დახმარება იმ დროს, როცა მათი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. თუ სიღარიბის ზღვარს მყოფი ოჯახის ერთი წევრი საქართველოს ფარგლებს გარეთ წავა სამუშაოდ, ოჯახს შემწეობას უწყვეტენ. არიან დევნილი ვეტერანები, რომლებსაც ცოლშვილი სხვა ქვეყნებში, მაგალითად, უკრაინაში ჰყავთ. ამ ვეტერანებს ოჯახები ვერ ჩამოჰყავთ, იმიტომ რომ აქ ბინებს არ აძლევენ. ზოგს არც შემწეობა აქვს. არიან მებრძოლები, რომლებიც ვეტერანის სტატუსსაც ვერ ეღირსნენ.

***– ვეტერანის სტატუსის მიღება ასეთი რთულია?***

– საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა სამმა მოწმემ უნდა დაადასტუროს. მოწმეებიდან ბევრი დახოცილია. დევნილთა ჩვეულებრივი რეგისტრაციაც პრობლემური გახდა. ჩვენ ხშირად გვაკითხავენ ის დევნილები, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ და რეგისტრაციის გავლა უჭირთ.

***– დევნილებისათვის ბინების განაწილებაც სადავოა.***

– ეს ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რომელსაც კომპლექსური გადაწყვეტა სჭირდება. ბევრი წვრილმანი პრობლემაა გადაუჭრელი. ამას ხელს უშლის ბიუროკრატია და უვარგისი კანონი დევნილთა შესახებ.

დევნილთა ცალკეულ სატკივარზე ხშირად ვაწუხებ დევნილთა მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძესა და სხვებს. ისინი საქმეს აკეთებენ, მაგრამ აუცილებელია სისტემური მიდგომა. მაგალითად, შესაქმნელია უწყებათაშორისი კომისია. ის ბინების თემასა და სხვა საკითხებსაც მიხედავდა. დევნილთა შორის თითო-ოროლა თაღლითიცაა. ზოგჯერ ხდება ისე, რომ ბინებით მათ აკმაყოფილებენ, სხვებს კი – არა. ერთი დევნილი სარდაფში ცხოვრობს. მონიტორინგის კომისიამ რამდენჯერმე მიაკითხა და ის შინ არ დახვდათ. ამის გამო ამ კაცს სოციალური დახმარებაც მოუხსნეს და ბინების განაწილების სიიდანაც ამოიღეს. ასეთი რამეები რომ არ მოხდეს, დევნილთა პრობლემები სისტემურად უნდა გადაიჭრას და დევნილთათვის მეტი თანხა გამოიყოს. არ შეიძლება, ყველა წვრილმანი საკითხი სასამართლომ გადაწყვიტოს.

## ირაკლი ალასანია: „მორალისტები“ მზად არიან, მორალური ტერორით ადამიანები თვითმკვლელობამდე მიიყვანონ“

თავისუფალი დემოკრატების ლიდერ ირაკლი ალასანიას განცხადებით, პოლიტიკაში ბოლო დროს „მორალისტები“ მომრავლდნენ.

როგორც ალასანია ამბობს, ეს ადამიანები ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების მიმართ გულგრილობასა და უუნარობას იჩენენ.

**ირაკლი ალასანია:**

– პოლიტიკაში ბოლო დროს მომრავლებული „მორალისტები“, რომლებიც გულგრილობასა და უუნარობას იჩენენ ქვეყნის წინაშე არსებული ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა კრიზისების მიმართ, არ და ვერ არიან დაკავებული საგარეო საფრთხეების აღქმითა და მოგვარებით, მაგრამ ყოველ წამს მზად არიან, მორალური ტერორით ადამიანების თვითმკვლელობამდე მიყვანა ცადონ, ვერც ხვდებიან, ნებისმიერი ადამიანის პირად ურთიერთობასთან ან კრიზისთან შედარებით, რამდენად შეუდარებლად ავადმყოფურია მათი ქმედება და აზროვნება.

სამაგიეროდ და საბედნიეროდ, ხალხი ხვდება, რომ პოლიტიკოსები, რომლებიც სივრცეში ყურებისა და მასშტაბში აზროვნების ნაცვლად სხვისი უკანალის თვალი-



ერებაში ატარებენ ცხოვრებას, ვერ შექმნიან ჯანსაღ გარემოს. მათ კარგა ხანია, თვითონ განუსაზღვრეს საკუთარ თავებს, აზრებსა და თვალებს ადგილი – კლოაკაში.

შანტაჟისა და ტერორის შესაძლო მსხვერპლთ კი მინდა შევახსენო – ტერორისტებთან და შანტაჟისტებთან მოლაპარაკებაზე არ მიდიან. ეს მსოფლიო ანტიტერორისტული პრაქტიკის აქსიომაა.

**მედიანიუსი**

## გმირთა მოედანზე ვეტერანების აქცია ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა



გმირთა მოედანზე ვეტერანების აქცია გაიმართა. ადგილზე შეკრებილი ვეტერანები ვეტერანთა ჰოსპიტლის დაფინანსების აღდგენას, ირაკლი შიხიაშვილის გადადგომასა და ვეტერანთა სამსახურში ფინანსური მდგომარეობის შესწავლის მიზნით აუდიტის შესვლას მოითხოვენ.

აქციაზე ვეტერანთა დეპარტამენტის მეორე ჯგუფის გამოჩენის შემდეგ ვითარება დაიძაბა და სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. სიტუაციის განმუხტვა კობა კობალაძემ და დავით თევზაძემ შეძლეს. საბოლოო გადაწყვეტილებით, ვეტერანები მოლაპარაკების მაგიდასთან მომავალ კვირას დასხდებიან.

**პირველი რადიო**

## არჩილ გამზარდია: „ევროპის ტერაქტებში რუსული კვალი გამორიცხული არ არის“

გულიკო ბალაძე

ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია ევროპაში განხორციელებულ ტერაქტებზე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

– რუსეთი ევროპის, ამერიკისა და, ზოგადად, თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს წინააღმდეგ გამოდის. სავსებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ რუსეთს შეიძლება დამნაშავეებთან ჰქონდეს კავშირი, – აცხადებს არჩილ გამზარდია.

***– ბატონო არჩილ, ბრიუსელამდე იყო არაერთი ტერაქტი თურქეთში, პარიზში და სხვაგან. სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს პროცესი?***

– ამ შეკითხვის პასუხზე დღეს მთელი მსოფლიო ფიქრობს და საიმედო პროგნოზის გაკეთებას ვერ ახერხებს. ტერორისტული ომი სხვა ტიპის ომია. მას შეიძლება ვუწოდოთ უხილავი ომი. არ არის ჯარი და ტანკი, მაგრამ ხდება აფეთქებები. მსოფლიოს პასუხიც ჯერჯერობით სამთავრობო შენობების დროშის ფერებით განათებაა. ადეკვატური პასუხი არ გაეცემა. არსებულ სიტუაციაში რა უნდა გააკეთოს მსოფლიომ და საქართველომ, ამაზე პასუხი არ მაქვს. ნებისმიერი ქვეყანა დაუცველია. ერთადერთი, მარტივი მექანიზმია, სახელმწიფომ მაქსიმუმი გააკეთოს უსაფრთხოების კუთხით.

***– შეიძლება ამგვარმა ტერაქტებმა მსოფლიოს დღის წესრიგი შეცვალოს, რომლებიც, ფაქტობრივად, მსოფლიო პოლიტიკაში წამყვანები არიან?***

– ჩვენ არ ვიცით, ტერაქტის უკან ვინ დგას. ტერაქტის უკან რომ იდგეს მხოლოდ ისლამური სახელმწიფო ან ის ადამიანები, რომლებიც იმ სივრცეში ტრიალებენ, უფრო გასაგები სიტუაცია იქნებოდა. ტერაქტებში ევროპული ქვეყნებიც არიან ჩარეულები. მათ შორის, შესაძლოა, ამ პროცესში სწორედ კონკრეტული თანამედროვე ქვეყნები იყვნენ ჩარეულები.

***– რომელი ქვეყნები?***

– ლაპარაკობენ რუსეთის შესაძლო ინტერესებსა და ტერორისტულ ომთან კავშირზე. ამიტომ, თუ ტერორის-



ტულ აქტებს შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე ომის წარმოების იარაღი, ეს ინსტრუმენტი შეიძლება გამოიყენონ არა მხოლოდ მათ, ვისაც მიაწერენ ამგვარ ქმედებებს, არამედ თანამედროვე ქვეყნებმაც, მათ შორის ასახელებენ რუსეთს.

***– ბრიუსელში მოწყობილ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა სახელმწიფომ. რუსეთი ასადის რეჟიმს ეხმარება და ისლამურ სახელმწიფოს უპირისპირდება. მაშინ ტერაქტების კვალი რუსეთამდე არ უნდა მიდიოდეს.***

– დეკლარირებული პოზიციები ხშირად საერთოდ არ არის ხოლმე კავშირში რეალურ კავშირებთან. თუკი ჩავთვლით, რომ ტერორიზმის საფრთხე განსაკუთრებით თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოშია, ევროპისა და მათკენ მიმავალი ქვეყნებისკენაა მიმართული, მაშინ დავინახავთ, რომ რუსეთი ევროპის, ამერიკისა და, ზოგადად, თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს წინააღმდეგ გამოდის. სავსებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ რუსეთს შეიძლება დამნაშავეებთან ჰქონდეს კავშირი. ლოკალურ ომებში რუსეთი ყოველთვის ცბიერი და ცრუ პოლიტიკის წარმმართველი იყო. თავის დროზე საქართველოს სუვერენიტეტს ემხრობოდა, მაგრამ ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებს იარაღს აწვდიდა და პასპორტებს ურიგებდა. ამიტომ რუსეთის როლი გამორიცხული არ არის.

***– რატომ გგონიათ ასე?***

– მაინც ვფიქრობ, რომ რუსეთის საშიშროება გაცნობიერებული არ არის. რუსეთის როლი ბევრად ჯეროვნად შესაფასებელია.

***– ბატონო არჩილ, ერთ მხარეს არის ტერაქტები, მეორე მხარეს კი – დემოგრაფიული შეტევა, რომელიც ხორციელდება ევროპაზე, განსაკუთრებით მუსლიმანური რელიგიის წარმომადგენლების მხრიდან. ინტერნეტში გაჩნდა კადრები, თუ როგორ ავიწროებენ და სცემენ ადგილობრივ მოსახლეობას. გაჩნდა აზრი, რომ შეიძლება იყოს ევროპა, მაგრამ აღარ იყვნენ დღევანდელი ევროპელები. რა ელოდება ევროპას?***

– არ ვიცი. სპეციალისტები ამბობენ, რომ ევროპული ცივილიზაციის ქრონის დინამიკა უფრო მაღალია და მათ ადგილას აზიური კულტურის, სხვა რწმენის შედინება ხდება. არა მგონია, მსგავსი პროცესები შემთხვევით და თავისთავად ხდებოდეს. ყველაფერი შეიძლება იყოს უფრო ორგანიზებული და მართვადი ხასიათის.

ტერორიზმი თვით მუსლიმანობასაც ეწინააღმდეგება. ტერორისტები მას დამახინჯებულად იყენებენ. ნებისმიერი მუსლიმანი გეტყვით, რომ მსგავს იდეებს ეს რელიგია არ იზიარებს.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქართული ბიზნესი ბიტკოინებით ინტერესდება

### ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია ბიტკოინ ემბასი ჯორჯიას დამფუძნებელ ალეკო სუდაძესთან



***– დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე აღნიშნული იყო, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში ფინანსები უფრო მეტად შეიცვლება, ვიდრე გასული 30 წლის განმავლობაში. დოიჩე ბანკის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ 10 წელიწადში ტრადიციული ფული არ იარსებებს. როგორია თქვენი დამოკიდებულება საკითხისადმი?***

– ამ საკითხზე დავოსამდე რამდენიმე წლით ადრე იყო საუბრები. მსოფლიოში უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტები აღიარებდნენ, რომ ფიატური ვალუტა (სახელმწიფო ვალუტა) მოუქნელია და გვჭირდება ის, რაც 21-ე საუკუნეში ძალიან მოკლე დროში კაპიტალის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას შეძლებს.

ფიატურ ვალუტასთან დაკავშირებით დღეს არსებობს ორი დიდი უარყოფითი მხარე: ბანკებს დიდი საპროცენტო განაკვეთები აქვთ და მეორე, გადარიცხვები დროში იწელება. საქართველოდან ფულის სიცილიაში ან იაპონიაში გაგზავნას შეიძლება ორი სამუშაო დღე დასჭირდეს, ბიტკოინით კი ამას დაახლოებით სამ წუთში მოვახერხებთ და არა აქვს მნიშვნელობა, სად ვიქნები. მთავარია, თან მქონდეს სმარტფონი, პლანშეტი ან ნოუთბუქი, ინტერნეტთან წვდომა და შესაბამისი ცოდნა.

***– რას გულისხმობს ბლოკჩეინ ტექნოლოგია და ბიტკოინი?***

– დავიწყოთ საწყისებიდან: ფული ადამიანებს კაპიტალი ჰგონიათ. ამ დროს, ფული არის კაპიტალის მათემატიკური განსაზღვრის საშუალება. ფულს ერთ დროს ვირთხის კუდიც კი წარმოადგენდა, დღეს კი ქაღალდზე არის მათემატიკური ნომინალი დატანილი, რაც შედარების საშუალებას იძლევა. კაპიტალში ერთ დროს ძირითადად პროდუქტები და მატერიალური საქონელი იგულისხმებოდა, გასული ერთი საუკუნის განმავლობაში კი მათ მომსახურება დაემატა.

თუ სმარტფონისა და ინტერნეტის საშუალებით აღვრიცხავთ ჩვენს კაპიტალს და ერთმანეთში ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე გავცვლით, ამას შეიძლება მივცეთ ფულის ფუნქცია.

ფულს აქვს სამი ძირითადი ფუნქცია: ა) უნდა იყოს ნდობით აღჭურვილი – ის უნდა იყოს მიმოქცევადი. ვთქვათ, ჩრდ. კორეაში დოლარის გაცვლისთვის ან დაგიჭერენ, ან მის გადაყრას მოგთხოვენ; ბ) გაყალბებისგან დაცვა – ყოველმა ადამიანმა მისი დახატვა ან მოჭრა ვერ უნდა შეძლოს; გ) ემისიის კონტროლი – უნდა ვიცოდეთ, ვის ხელშია ემისია და ის უნდა კონტროლდებოდეს.

ეს თვისებები უმტკივნეულოდ გადადის კრიპტოვალუტაში. ბიტკოინს აქვს ორი გასაღები: ღია და დახურული. დახურულის პაროლი ვიცი მხოლოდ მე და, თუ ვინმე მიიღებს ამაზე წვდომას, იგი დაეუფლება საფულეს.

***– როგორ ხდება ბიტკოინის მოპოვება?***

– არსებობს სამი გზა. პირველი არის მაინინგი. სპეციალური აპარატურა ჯერ დენის წყაროს, შემდეგ კი ინტერნეტს უკავშირდება. შემდეგ ხდება მისი დაპროგრამება, რაც თავის მხრივ ცოდნას მოითხოვს. აპარატურა თავისუფალი ხეშიდან (რიცხვების, სიმბოლოების ერთობლიობა) სპეციალურ თანმიმდევრობას ითვლის, რომელიც უნიკალურია ანუ ჯერ არ გამოთვლილა.

ბიტფარიმ გორსა და გლდანში განათავსა აპარატი და იგი იწყებს ამ თავისუფალი ხეშის გამოთვლას. ამასთან, ის ჩართულია მსოფლიო ბიტკოინ საზოგადოებაში (ვგულისხმობ ელექტრონულ საზოგადოებას, პულს, ელექტრონულ სამეგობროს). რამდენიმე მაინერი ერთად მუშაობს და არსებობს გაცილებით დიდი ალბათობა, რომ თავისუფალ ხეშს მიაგნებს.

მეორე გზა არის „იყიდე-გაყიდეს“ პრინციპი – კურსის ცვლაზე დაყრდნობით ფულის დაგროვებაა შესაძლებელი. არ აქვს მნიშვნელობა, ამას ევროზე გააკეთებ, დოლარზე თუ ბიტკოინზე.

მესამე გზა – გაყიდე პროდუქცია ბიტკოინზე. ამას აკეთებენ მსოფლიო გიგანტები, მაგალითად, მაიკროსოფტი. მან ახლახან გამოაცხადა, რომ გარკვეულ პროდუქციას ბიტკოინზე აღარ გაყიდდა, თუმცა ამას იმხელა პროტესტი მოჰყვა, რომ ბიტკოინის წვდომა ყველა პროდუქტზე მეორე დღესვე დაუშვეს.

***– რამდენად უსაფრთხოა ბიტკოინტექნოლოგია როგორც მომხმარებლების, ასევე სახელმწიფოსთვის?***

– უსაფრთხოებას ადამიანური ფაქტორი განსაზღვრავს. ჩართული კომპიუტერის დატოვება ან პაროლის გამხელა დაუდევრობაა. თუ ვინმე უცხო შენს პაროლს გაიგებს, ფული დაკარგულია. თუმცა თუკი მფლობელი გარდაიცვლება, მის საფულეზე წვდომა სხვას არ აქვს, ბიტკოინი სივრცეში, ბლოკჩეინის ტრანზაქციაში რჩება და მას ველარავინ გამოიყენებს.

უშიშროების წარმომადგენლებს ბიტკოინის არსებობა მისი ანონიმურობის გამო არ მოსწონთ. მათი აზრით, ტერორისტულმა, მაფიოზურმა და სხვა სახის დაჯგუფებებმა შეიძლება იგი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენონ. ნამდვილად შეიძლება, მაგრამ გადავხედოთ ისტორიას: კრიმინალი სამართალდამცავებს ტექნოლოგიურად ყოველთვის წინ ასწრებდა. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები მოქნილობასა და კრეატიულობას თუ გაზრდიან, ბიტკოინის გამოყენება სახელმწიფოს არ დააზარალებს.

***– რაზეა დამოკიდებული ბიტკოინის ვალუტის კურსის ცვლილება?***

– მაგალითად, დღევანდელი მონაცემებით, ერთი ბიტკოინის შეძენა 946 ლარზე ოდნავ მეტი ჯდება (ინტერვიუ ჩაწერილია 17 მარტს).

***– რა იწვევს ცვლილებებს?***

– ბიტკოინს ვერცერთი მთავრობა ღიად ვერ აკონტროლებს, აქედან გამომდინარე, ვალუტა არის თავისუფალ მიმოქცევაში. მისი გადაცვლის კურსი მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე დგება. ბიტკოინის კურსის ცვალებადობის ამპლიტუდა ბოლო პერიოდში ვიწროვდება. პამპერსიდან დაწყებული, კოსმოსური ხომალდით დამთავრებული, ბიტკონით ყველაფრის ყიდვა შეგიძლიათ.

***– ვაჭრობენ თუ არა ქართული კომპანიები ბიტკოინით?***

– საქართველოში ჯერჯერობით არ ვაჭრობენ, თუმცა ვიცი, რომ ლიბერთი ბანკი და ფეიბოქსი ბიტკოინს ახურდავებენ ანუ შეგიძლიათ ლარით კრიპტოვალუტა შეიძინოთ.

***– რა არის საქართველოში კრიპტოვალუტის ნაკლები პოპულარობის მიზეზი?***

– ერთმა მეწარმემ მითხრა, რომ ბიტკოინის შესახებ საგადასახადო კოდექსში არაფერი წერია და მისი გამოყენება ფარულ შემოსავლებად იქცევაო. როგორც ვიცი, შემოსავლების სამსახურში ამ საკითხთან დაკავშირებით ფიქრობენ, მაგრამ პასიურად. ჯერჯერობით ამისთვის არ გვცალიაო, მითხრეს. რეალურად, ბიტკოინი ინტერნეტბიზნესისთვის საჭიროა, ცხოვრების სიჩქარე მატულობს, დრო უფრო მეტად ფულია, ვიდრე ადრე იყო. ჩვენ კი ამას ფეხი უნდა ავუწყოთ.

***– ბიტფარის მიერ საქართველოში გახსნილი ცენტრებით რა მოგება აქვს ქართულ მხარეს?***

– მე, პირადად, ამაში ვერანაირ მოგებას ვერ ვხედავ. ბიტკოინისთვის გეოგრაფიულ მდებარეობას მნიშვნელობა არ აქვს. თუ დატა ცენტრთან წვდომა ნიგერიიდან გაქვს, ის უკვე შენია. შეიძლება გლდანში იცხოვრო ბიტფარის ცენტრთან ახლოს და არანაირი მოგება არ გქონდეს და შეიძლება დედამიწის სულ სხვა ნაწილში იჯდე და მთელ დატა ცენტრს აკონტროლებდე. საფინანსო გადახდები ერთ დღეს მარსზეც და მთვარეზეც საჭირო იქნება, სადაც რობოტები დასახლდებიან და იქ ანგარიშსწორება აუცილებლად კრიპტოვალუტით მოხდება.

***– აყენებს თუ არა ბიტკოინი ქვეყნის ეკონომიკას ზიანს?***

– თუ კანონები ისე ვერ დარეგულირდა, რომ მეწარმეებმა გადასახადების გადახდა შეძლონ, ეს პრობლემა იქნება. მეწარმე ყოველთვის ეძებს მარტივ გამოსავალს, ცდილობს, გადაიხადოს ნაკლები, შეამციროს მოგების გადასახადი და ა.შ. სახელმწიფომ მეწარმეს შესაბამისი კანონი უნდა დაუწეროს და გარკვეული ვალდებულებები დაუწესოს (როგორიცაა დღგ). მეწარმემ საგადასახადო სამსახურში უნდა განაცხადოს, რომ „ეს ჩემი შემოსავლის საფულეა“ (გარკვეული ნომრით). ბლოკჩეინზე ძალიან კარგად ჩანს, საფულე რას ვაჭრობს, თუმცა არ ჩანს ვისია – პიროვნების იდენტიფიკაცია არ ხდება. მაგრამ, თუკი ვიცით, რომ საფულე კონკრეტულ ინდმეწარმეს ეკუთვნის, შესაბამისად, ეს მაკონტროლებელ ორგანოს ინფორმაციას აწვდის.

**გუგა როგავა, კომერსანტ.გე**

# თბილისში მრავალსართულიანი პარკირებები მოეწყობა



თბილისის მერია ქალაქში მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობას იწყებს.

დავით ნარმანიამ თბილისში მანქანებით გადატვირთულ ტროტუარებზე კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ მათ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ თვალსაზრისით სიტუაცია შეისწავლეს და კომპანია „სითი პარკს“ 500-ზე მეტი ადგილი ჩამოართვეს, სადაც წინა ხელისუფლების პირობებში პარკირებასთან დაკავშირებით თანხმობა იყო მიცემული.



თბილისის მერის თქმით, პარკირება ეტაპობრივად ამჟამად არსებულ 1.00-მდე ადგილზე გაუქმდება.

– ჩვენ ამ პროცესს ვაგრძელებთ. 1.500-მდე ადგილი კიდევ აქვთ მათ დარჩენილი და ამ ადგილებზე პარკირება ეტაპობრივად გაუქმდება. თუმცა, მეორე მხრივ, ეს დისკომფორტია ავტომობილის მფლობელებისთვის. ამიტომ ჩვენ დედაქალაქში საპირისპირო ღონისძიებაც დავიწყეთ.

მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობასთან დაკავშირებით ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტაცია მზადდება, რომელიც დაახლოებით სამ კვირაში უკვე მზად იქნება. მერიას ჩაბარდება და ამაზე დაყრდნობით საინვესტიციო პროექტებს მოვამზადებთ და გამოვაცხადებთ ქალაქში მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობის დაწყებას, რაც არსებულ მდგომარეობას დაარეგულირებს, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

# ურეკის საკონცერტო დარბაზი 26 მაისს გაიხსნება

ურეკში გრანდიოზული საკონცერტო დარბაზი შენდება. მშენებლობას ფონდი „ქართუ“ აფინანსებს. საკონცერტო დარბაზი 8.000 კაცზეა გათვლილი. მშენებლობა 2007 წლიდან მიმდინარეობს და ხარჯები უკვე 200 მილიონ ლარს შეადგენს.

– შენობა წარმოადგენს ღია საზაფხულო საკონცერტო ამფითეატრ-დარბაზს 8.000 მაყურებელზე. ნაგებობა შედგება ორი შენობისგან, რომლებიც ერთი სახურავის ქვეშაა მოქცეული და ერთი მთლიანი შენობის ეფექტს ქმნის, – წერია კომპანია „ელიტა ბურჯის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



ერთი ნაგებობა წარმოადგენს მაყურებელთა დარბაზს, რომელიც განთავსებულია 4 სართულზე, მეორე ნაგებობა კი გახლავთ სასცენო შენობა. იგი შედგება 6 სართულისგან და მასში გათვალისწინებულია საგრიმიოროების, პერსონალის კაფეტერიის, ოფისების, ტექნიკური სათავსოებისა და დარბაზის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა სივრცეების მოწყობა.

– ინჟინერულ-არქიტექტურული გადაწყვეტის თვალსაზრისით, შენობა წარმოადგენს უნიკალურ ნაგებობას, რომლის ანალოგი ძნელად მოსაძებნია მსოფლიოში, – წერია „ელიტა ბურჯის“ ინფორმაციაში.

სწორედ აღნიშნული კომპანია უკეთებს დარბაზს რკინის კონსტრუქციებს.

საკონცერტო დარბაზი ურეკში საზეიმოდ 26 მაისს გაიხსნება.

# გორში ქარის ელექტროსადგურს ააშენებენ



ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ირაკლი ხმალაძის განცხადებით, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება.

ამის შესახებ ირაკლი ხმალაძემ ჟურნალისტებს 25 მარტს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

– ამ პროექტთან დაკავშირებით რამდენჯერმე გაკეთდა განცხადება. სამუშაოები დაწყებულია და წლის ბოლომდე დასრულდება ახალი, 20-მეგავატიანი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგური, რომელიც განთავსდება გორის მახლობლად, საავტომობილო მაგისტრალთან, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინოდ იქნება განთავსებული, – განაცხადა ხმალაძემ.

**ბიპიენი**

# თებერვალში კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები გაიზარდა

წინა თვესთან შედარებით, თებერვალში კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 0.6%-ით გაიზარდა.

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში, რომელიც კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობას ეხება.

სებ-ის ინფორმაციით, 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, მათ შორის, 17 საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 1 – უცხოური ბანკის ფილიალით.

– თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.2 მლრდ ლარით ანუ 0.6 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.5 პროცენტით) და 25.5 მლრდ ლარი შეადგინა, – ნათქვამია განცხადებაში.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.9 პროცენტია.

# 10 ყველაზე გაყიდვადი მედიკამენტი საქართველოში

ფარმაცევტულ პროდუქტებზე მოთხოვნა, მათი გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სულ უფრო მზარდია.

მიიჩნევა, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მოსახლეობის მხრიდან წამლებზე გაწეული დანახარჯები, რასაც არასასურველი სოციალური ფონიც განაპირობებს.

ფარმაცევტულ კომპანიებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, რომელი მედიკამენტია ყველაზე მოთხოვნადი საქართველოში. როგორც გაირკვა, ყველაზე მოთხოვნადი და სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების ნუსხა 220 დასახელების პრეპარატისგან შედგება, ჩვენ კი პირველ ათეულს გთავაზობთ:

1. ენაპი
2. დეტრალექსი
3. დიაბეტონი ემერ
4. პრესტანსი
5. ალბუმინი
6. როცეფინი
7. ნო-შპა ტაბ
8. კლექსანი
9. პრესტანსი
10. ვანსეარი დუო



**ბიპიენი**

# სამხრეთ ოსეთი თავის ოლიმპიურ კომიტეტს ქმნის

## აფხაზეთში კი, დიდ ფეხბურთთან ერთად, ზიკას ვირუსს ელოდებიან

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალში უცნაური ამბები ტრიალებს, მოსკოვის წინააღმდეგობის მიუხედავად, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება მის შემადგენლობაში აპირებს შესვლას. საამისოდ რეფერენდუმის ჩატარებაც იგეგმება. ამ დროს კი ისინი მთელ რიგ ქვეყნებს მათი აღიარების თხოვნით მიმართავენ.

ამ დღეებში ოსებმა კიდევ ერთი საინტერესო ნაბიჯი გადადგეს. ცხინვალი ოლიმპიური კომიტეტის შექმნას აპირებს. როგორც ოსური მედია განმარტავს, ეს იმისთვის კეთდება, რომ ოსმა სპორტსმენებმა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა.

ამ მამაპაპური საქმის გაკეთებაში ოსებს დახმარებას აფხაზები ჰპირდებიან. სოხუმს ამ მხრივ რაღაც გამოცდილება აქვს. სხვა თუ არაფერი, წელს მათთან არაღიარებულ ქვეყნებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება ფეხბურთში.

ოლიმპიური კომიტეტის შექმნის ამბავში აქტიურად მონაწილეობს სამხრეთელთა პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი. ოსური მედიის ცნობით, ამ უქმეებზე მასთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი ანდრეი კონოკოტინი და რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ძამბოლატ თედეევი ესწრებოდნენ.

ეს უკანასკნელი მთავარი მწვრთნელის პოსტზე რამდენიმე თვის წინ დააბრუნეს. როგორც ამბობენ, მოსკოვმა ეს გადაწყვეტილება ცხინვალში მოახლოებული არჩევნების შიშით მიიღო. 2017 წლის აპრილში სამხრეთელები პრეზიდენტს აირჩევენ. არჩევნებში მონაწილეობის სურვილი თედეევსაც ჰქონია. მოსკოვში გარკვეულ ძალებს არ სურთ, ის ამ პოსტზე იხილონ.

თიბილოვთან გამართულ სპორტულ-პოლიტიკურ თათბირს აფხაზეთის ვიცეპრეზიდენტი ვიტალი გაბნიაც ესწრებოდა.

– ოლიმპიური კომიტეტის შექმნა აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა დამოუკიდებლად შეძლონ საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობა, – აღნიშნა სამხრეთელთა თავკაცმა.

მას მხარი აუბა ძამბოლატ თედეევმაც. მან დაახლოებით უკვე წარმოიდგინა, როგორ ფრიალებს სამხრეთ ოსეთის დროშა რომელიღაც ოლიმპიადაზე.

– ოლიმპიური კომიტეტის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს გვაძლევს იმის შანსს, რომ ოდესმე ოლიმპიადაზე სამხრეთ ოსეთის დროშით გამოვალთ, – განაცხადა ოსურ ოცნებებში გადავარდნილმა თედეევმა.

ამ საქმეში ცხინვალელებს დახმარებას რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი გაუწევს.

– რუსეთის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მზადაა, ყველანაირი დახმარება გაუწიოს ცხინვალს. სამხრეთ ოსეთს აქვს დიდი სპორტული პოტენციალი. ის რუსეთისთვის დიდი სამჭედლოა, – განაცხადა ანდრეი კონოკოტინმა.

მოძმე სამხრეთელ ოსებს დახმარება აღუთქვა აფხაზთა ვიცეპრეზიდენტმა ვიტალი გაბნიამაც.

– ჩვენი ბედი ერთმანეთთან ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის. ჩვენ ერთმანეთს გვერდში უნდა დავუდგეთ და ყველანაირად მხარი დავუჭიროთ, – აღნიშნა ვიტალი გაბნიამ.

ვიცეპრეზიდენტმა არ იცის, როგორ უნდა დადოს აგური სამხრეთელთა ოლიმპიური კომიტეტის ასაშენებლად, სამაგიეროდ, ცხინვალელ ბავშვებს აფხაზეთში დასვენება შესთავაზა.

საინტერესოა, როგორ დაეხმარებიან აფხაზები ოსებს დამოუკიდებელ ასპარეზზე გასვლაში. რამდენიმე თვის წინ საქართველოს მოთხოვნით მათი მოჭიდავეები სომხეთის საერთაშორისო ტურნირიდან მოხსნეს. ცოტა ხნის წინ კი სოხუმში ერევნის არარატი აპირებდა ამხანაგური მატჩის გამართვას. ამაზე ოფიციალურმა თბილისმა პროტესტი გამოხატა. სომხეთის საგარეო უწყებამ არარატის მოთამაშეებს დაუბარა, თქვენი ფეხი სოხუმში არ იყოსო. ამის გამო აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სომეხ კოლეგებს სულ ქართველების ჩმორები ეძახა.



* * *

აფხაზები არაღიარებულთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საგანგებოდ ემზადებიან, მაგრამ ამ მომენტისთვის მხოლოდ 2 სტადიონია მზად. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ამ ჩემპიონატზე ბევრს საუბრობს, ადგილობრივი მედიის ცნობით, მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ისიც კი არ იცის, რა გუნდები ჩამოდიან მათთან ბურთის გასაგორებლად.

2 თვეში აფხაზეთში არაღიარებულთა საინტერესო შემადგენლობა შეიკრიბება. სოხუმში ფეხბურთელები 11 არაღიარებული ქვეყნიდან ჩამოვლენ.

ამ ქვეყნების უმეტესობა მოსახლეობას გაგებულიც კი არ აქვს. ესენია: ჩრდილოეთ კვიპროსი, პადანია, რეცია, ციგანე, ლაპლანდია, ქურთისტანი, პენჯაბი, დასავლეთ სომხეთი, აფრიკული სომალილენდი და არქიპელაგის ჩაგოსი.

ვინ რა ხეირს მიიღებს არაღიარებულთა ჩემპიონატიდან, ვერ გეტყვით, მაგრამ ბევრი გაიგებს, რომ დედამიწაზე არსებობს თურმე დასავლეთ სომხეთიც.

გეოგრაფიაში გათვითცნობიერება აფხაზებს შესაძლოა ძვირად დაუჯდეთ. აქ საასპარეზოდ ისეთი ქვეყნებიდან ჩამოდიან, დიდი შანსია, რაიმე ვირუსიც ჩამოიტანონ. ამის გამო აფხაზები საკმაოდ არიან შეშფოთებულნი.

ვირუსის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ გადამტანებად კოღოები ითვლებიან. ჰოდა, აფხაზი სანიტრები მზად არიან, კოღოები გაანადგურონ. აფხაზეთის მთავარი სანიტარი ალა ბელიაევა ამბობს, რომ ისინი მზად არიან, საქმეს შეუდგნენ.



– ჩვენთან გუნდები აფრიკის ქვეყნებიდანაც ჩამოდიან, სადაც სხვადასხვა დაავადებაა გავრცელებული. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ სტუმართაგან ვინმე რაიმე ტიპის ვირუსის მატარებელი არ იქნება, – განუცხადა ადგილობრივ მედიას სოხუმის მთავარმა სანიტარმა.

აფხაზები კოღოების განადგურების ოპერაციას აპრილის მეორე ნახევრიდან დაიწყებენ. როგორც ბელიაევა ამბობს, ყველა სახეობის კოღოს ლიკვიდაცია მოხდება.

– ჩვენ არ უნდა დავუშვათ რესპუბლიკის ტერიტორიაზე რაიმე ტიპის ვირუსის შემოტანა. მივმართეთ ხელისუფლებას და მოვითხოვეთ შესაბამისი პრეპარატები, რათა ყველა სახეობის კოღო გავანადგუროთ, – ამბობს ბელიაევა.

რამდენად შეძლებენ საკოღოეთის გაწყვეტას, სოხუმის მთავარმა სანიტარმა არ იცის, ამბობს, რომ იბრძოლებენ მანამდე, სანამ საამისოდ სახსრები ეყოფათ.

ის მოსახლეობას სიფრთხილისკენაც მოუწოდებს და ყველას აფრთხილებს, რომ ვირუს ზიკას გადამტანი მწერი დავიწყების ღირსი არ არის.

ზიკას მატარებლებთან სოჭში უკვე დაუწყიათ ბრძოლა. როგორც ბელიაევა ამბობს, მალე ისინიც დაიწყებენ ზიკას მატარებლებზე შეტევას. პრეპარატებს რუსეთიდან მიიღებენ.

როგორც სოხუმის მთავარი სანიტარი განმარტავს, უკვე შერჩეულია ადგილები, სადაც ღონისძიებები ჩატარდება. ეს მარტივი საქმე არ იქნება, რადგან, ბელიაევას განმარტებით, ამას 10 ბრიგადა დასჭირდება, ზიკას მატარებლების წინააღმდეგ დეზინფექცია კი წელიწადში ოთხჯერ ტარდება.

# ახმეტის გამგებლისა და მისი მოადგილის მეუღლეები ისრაელში ოფიციალური სტატუსით წავიდნენ

ახმეტის გამგებელი ბექა ბაიდაური სპორტული სკოლის მოჭიდავეებთან ერთად ისრაელში გაემგზავრა. მოჭიდავეთა გუნდის უშუალო მწვრთნელის ადგილი დელეგაციის შემადგენლობაში არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, მასში ოფიციალური პირების სტატუსით გამგებლისა და მისი მოადგილის მეუღლეებიც არიან.

2016 წლის 24-28 მარტს ისრაელის ქალაქ თელ ავივში ტარდება საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკთა შორის. ჩვენი ინფორმაციით, ამ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად საქართველო ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი – ქალაქ თბილისში არსებული ძიუდოს კლუბი „ჯორჯია“ და ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სპორტული სკოლა.

ძიუდოს კლუბ „ჯორჯიას“ დელეგაცია 8 სპორტსმენითა და 2 მწვრთნელით (კარენ არუთინიანი და გია გაგნიძე) დაკომპლექტდა, ხოლო ახმეტის დელეგაციის შემადგენლობა გაცილებით სოლიდურად არის წარმოდგენილი; მასში ასევე 8 მოჭიდავე და 2 მწვრთნელია – მამუკა აბრამიშვილი (სპორტსკოლის დირექტორი) და ზეზვა შათირიშვილი, თუმცა, იმავე დელეგაციის შემადგენლობაში ოფიციალური პირის სტატუსით კიდევ 4 პირია წარმოდგენილი: ახმეტის გამგებელი ბექა ბაიდაური; მისი მეუღლე მეგი ლაგაზაური; გამგებლის მოადგილის ვანო ნასყიდაშვილის მეუღლე ხათუნა თურმანაული, რომელიც „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახურის“ თანამშრომელია; ზეზვა შათირიშვილის მეუღლე ფატი ჭიჭიაშვილი – ახმეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარის არჩილ შათირიშვილის დედა.

გამგეობის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომლის ვინაობასაც მისივე თხოვნით არ ვამჟღავნებთ, კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა: „ზვიადაურის სახელობის სპორტსკოლიდან ტურნირზე 8 ბავშვი მონაწილეობს, თუმცა მათი უშუალო მწვრთნელი ზაზა კოტორაშვილი ისრაელში არ წაიყვანეს. სამაგიეროდ, ისრაელში გაემგზავრნენ გამგებლისა და მისი მოადგილის, ასევე მეორე მწვრთნელის ცოლები, რომლებსაც სპორტთან არავითარი კავშირი არა აქვთ. მათი მოგზაურობის მიზანი აღდგომის დღესასწაულის წინ წმინდა ადგილების მონახულებაა“.




იგივე წყარო ამბობს, რომ ახმეტის გამგებელი საზღვარგარეთული ვოიაჟების დიდი მოყვარულია და ამ თვალსაზრისით ყველა წინამორბედს ბევრად გადააჭარბა. ისრაელიდან დაბრუნების შემდეგ იგი კანადაში, ქალაქ ტორონტოში აპირებს გამგზავრებას.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი სპორტსკოლის მწვრთნელ ზაზა კოტორაშვილს ესაუბრა. მისი თქმით, ისრაელში ოჯახური პირობების გამო ვერ წავიდა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელ ბექა ბაიდაურს ტელეფონი გამორთული აქვს. შესაბამისად, ამ ეტაპზე მისგან კითხვებზე პასუხი ვერ მივიღეთ.

გამგებლის მოადგილე ვანო ნასყიდაშვილი, რომლის მეუღლე ხათუნა თურმანაული დელეგაციის შემადგენლობაშია, ამბობს: „მეზობლები ვართ მე და ზაზა შათირიშვილი. ჩემი მეუღლე მის მეუღლესთან მეგობრობს. გადაწყვიტეს, რომ აღდგომამდე ისრაელში წმინდა ადგილები მოელოცათ. იყიდეს ბილეთები და წავიდნენ. ბიუჯეტიდან ამაში ფული არ დახარჯულა. ვიზაც არ სჭირდება. არავითარი პრივილეგია არ მიგვიღია“.

– ბატონო ვანო, შესაძლოა, ისრაელში თქვენი მეუღლის ვიზიტზე საბიუჯეტო თანხა არ დაიხარჯოს, მაგრამ მასპინძელი მხარის მიერ ოფიციალურად მიწვეულ პირთა სიაში, დოკუმენტში როგორ მოხვდა? პირთა სია ხომ წინასწარ ეგზავნება და თანხმდება ხოლმე მეორე მხარესთან?

– ბიუჯეტიდან ფული არ დაგვიხარჯავს.

* * *

საინფორმაციო ცენტრების ქსელისთვის ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ საიდან ხდება ხარჯების ანაზღაურება ისრაელში წასული დელეგაციის წევრებისათვის.

სამოქალაქო აქტივობების ცენტრის საჯარო მმართველობის მონიტორინგის მიმართულების ხელმძღვანელი, იურისტი გელა შაშიაშვილი განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამივლინებო ხარჯები შედგება სადღეღამისო, მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისა და საზღვარგარეთის შესაბამისი ქვეყნის ვიზის მიღებისათვის გაწეული ხარჯებისაგან. კონკრეტულად ისრაელის შემთხვევაში, მოკლევადიანი მივლინებისას სადღეღამისო ნორმა 49 აშშ დოლარს შეადგენს, საცხოვრებელი ფართობის დაქირავების დღიური თანხა – 117 აშშ დოლარს, ხოლო მგზავრობის ღირებულება – 800 ლარს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში სპორტის განვითარებისთვის 717,7 ათასი ლარია გათვალისწინებული. ამ თანხაში შედის სპორტული სკოლის დაფინანსებაც. არასამუშაო დღეების გამო, ჩვენ ვერ შევძელით იმის დაზუსტება, ზუსტად რამდენია გამოყოფილი მსგავს ტურნირებში სპორტული სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობის დასაფინანსებლად. თუმცა, ტურნირის მონაწილეთა მშობლებთან დავაზუსტეთ, რომ თითოეულ ბავშვს დამატებით 100 აშშ დოლარი გადაახდევინეს.

შეგახსენებთ, რომ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა 2015 წლის 14 ოქტომბერს გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც საუბარი იყო, რომ ახმეტის გამგებლის ბექა ბაიდაურის ვიზიტებზე საზღვარგარეთ (ამერიკის შეერთებული შტატები, პოლონეთი, მოლდოვა, ლიტვა, ლატვია, საფრანგეთი) ბიუჯეტიდან ათეულობით ათასი ლარი დაიხარჯა, თუმცა ვიზიტების ერთადერთ მიზანს სხვადასხვა სახის საზეიმო ღონისძიებაზე დასწრება წარმოადგენდა.

გარდა ამისა, 2015 წლის 22 ივლისს გამოქვეყნებულ სტატიაში ახმეტის გამგებელი მხილებულ იქნა კორუფციულ ქმედებაში, როდესაც მან საკუთარი ცოლისძმა შმაგი ლაგაზაური, რომელიც მისი პირადი მძღოლიცაა, ერთკვირიანი „კულტურული დასვენების“ მიზნით ლატვიაში მიავლინა, რაც ადგილობრივ ბიუჯეტს 2300 ლარი დაუჯდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტი მასპინძელი მხარის მიერ იყო დაფინანსებული. მოგვიანებით გამოირკვა, რომ გამგებლის ცოლისძმა მისთვის ზედმეტად გაწერილი სამივლინებო თანხით ქალაქ რიგის ღამის კლუბში ატარებდა დროს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## ობამა: „ჩვენ ვებრძვით ტერორიზმს და არა — მუსლიმანობას“



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ ამერიკა ებრძვის ტერორიზმს და არა – მუსლიმანობას. ყოვლად გაუმართლებელია, რომ ბრიუსელის ტერაქტში ყველა მუსლიმანი დაადანაშაულო.

– ტერორისტების მიზანიც ესაა! მათ სურთ, ჩვენი ბრძოლა საერთოდ მუსლიმანობის წინააღმდეგ ბრძოლად გაასაღონ! – თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ობამამ ხაზი გაუსვა, რომ ექსტრემისტებს მუსლიმანობასთან საერთო არაფერი აქვთ. ამიტომაცაა, რომ ბევრი მუსლიმანური სახელმწიფო, უამრავი მწერალი, პუბლიცისტი თუ სახელმწიფო მოღვაწე ისლამისტი-ექსტრემისტების წინააღმდეგ აქტიურად გამოდის.

## იტალიაში ბრიუსელის ტერაქტის კიდევ ერთი მონაწილე დააკავეს



ბელიცის კომუნაში (იტალია) პოლიციამ ბრიუსელის ტერაქტის კიდევ ერთი მონაწილე, 40 წლის ჯემალ ედ-დინ უალი დააკავა.

ის ალჟირის მოქალაქე და აქტიური ისლამისტი-ექსტრემისტია.

ედ-დინ უალის ბრალად ბრიუსელის ტერაქტის მონაწილეთათვის ყალბი დოკუმენტების დამზადება ედება.

## ბულგარეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას მხარს უჭერს

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო თავის ბულგარელ კოლეგა პლევნიევს შეხვდა.



საუბარი ორი ქვეყნის ურთიერთობას მიეძღვნა.

პლევნიევმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს.

– ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია. ის უკრაინას უნდა დაუბრუნდეს. რაც შეეხება სანქციებს, ისინი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ რუსეთი აგრესიას არ შეწყვეტს, – თქვა პლევნიევმა.

ბულგარეთის პრეზიდენტი ნადეჟდა სავჩენკოს თემასაც შეეხო.

მან განაცხადა, რომ სავჩენკო დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ამერიკელი 14 წელი ვიდეოგაქირავებას ვალს არ უხდიდა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში პოლიციამ ჯეიმს მეიერს-უმცროსი იმის გამო დააპატიმრა, რომ ის 14 წელი ვიდეოგაქირავებას ვიდეოკასეტას არ უბრუნებდა. ქალაქ კონკორდის მცხოვრები პატრულმა იმ დროს დააკავა, როდესაც მას შვილი მანქანით სკოლაში მიჰყავდა.

– პოლიციელებმა გამაჩერეს და საბუთების შემოწმების შემდეგ განმიცხადეს, რომ დაპატიმრებული ვარ, უფლება მომცეს, ბავშვი ადგილზე მიმეყვანა, შემდეგ კი სამსახურში გამოვცხადებულიყავი, მაგრამ შემდეგ თავად უნდა მივსულიყავი განყოფილებაში, – განაცხადა მეიერსმა, რომელიც მარტო ზრდის თავის 10 წლის გოგონას.

მამაკაცს წვრილმან სამართალდარღვევაში წაუყენეს ბრალი და მან ჯარიმის სახით 200 დოლარი უნდა გადაიხადოს. საქმის სასამართლო მოსმენა 27 აპრილს გაიმართება.

## ავსტრალიელმა სპერმის დონორთან სიყვარულზე წიგნი დაწერა



ავსტრალიის ვიქტორიას შტატის მცხოვრები სპერმის თავის დონორს გაჰყვა ცოლად და მასზე წიგნი დაწერა. გამოცემის გარეკანზე დაბეჭდილი ფოტოსურათი 46 წლის ამინა ჰარტმა ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში გამოაქვეყნა.

ნაწარმოები სათაურით „როგორ შევხვდი ჩემს მამას“ ონლაინმაღაზიებში მიმდინარე წლის აპრილიდან გაიყიდება.

2012 წელს ჰარტს სკოტ ანდერსენისგან შეეძინა გოგონა ლეილა. ეს ხელოვნური განაყოფიერებით მოხდა. მამაკაცმა გადაწყვიტა, ანონიმ დონორად დარჩენილიყო და ბავშვის დაბადების შემდეგ მის აღზრდაში არ მიეღო მონაწილეობა, მაგრამ, ამინის თქმით, მას შემდეგ, რაც გოგონა დაიბადა, მან იგრძნო, რომ მისი უმამოდ დატოვება უსამართლობა იქნებოდა.

ჰარტმა სოციალური ქსელების დახმარებით მოიპოვა ინფორმაცია მამაკაცზე, რომელიც დონორი იყო და მას 2013 წელს დაუკავშირდა. შეხვედრის შემდეგ მათ ერთმანეთის მიმართ სიმპათია იგრძნეს და 2014 წლის ნოემბერში დაინიშნენ.

– ჩვენ ლეილასთვის რძის საყიდლად გამოვედით, უკან კი ნიშნობის ბეჭდებით დავბრუნდით, – გაიხსენა ჰარტმა.

საქორწინო ცერემონიალს, რომელიც 2015 წლის დეკემბერში ოკეანის სანაპიროზე გაიმართა, ჰარტისა და ანდერსენის 130 მეგობარი და ნათესავი ესწრებოდა.

## იაპონური პანდა კუნგ-ფუს ილეთებს ფლობს

ტოკიოს ზოოპარკ უენოში ფოტოგრაფმა შინგო ნაკამურამ პანდას, სახელად რი-რის, რამდენიმე ფოტოსურათი გადაუღო, რომლის მოძრაობები კუნგ-ფუს ილეთებს წააგავს.



ადგილობრივმა ჟურნალისტებმა ცხოველის მოძრაობები შეადარეს ილეთებს, რომელთაც მულტფილმ „კუნგ-ფუ პანდას“ მთავარი გმირი, სახელად პო ასრულებს.

ნაკამურას თქმით, ის მსგავსს არაფერს მოელოდა.

– ჩემი აზრით, ის ფეხებს ავარჯიშებდა. ისინი (ზოოპარკის თანამშრომლები) ამას ცხოველს ყოველდღე ასრულებინებენ, რათა ფორმაში ამყოფონ, თუმცა მისი მოძრაობები უფრო მეტად საბრძოლო ილეთებს მაგონებს, – განაცხადა იაპონელმა ფოტოგრაფმა.

## ამერიკელმა მოზარდმა მანქანა 88 წლის ქალთან ერთად გაიტაცა



ამერიკის ილინოისის შტატში მოზარდმა მანქანების სადგომიდან გაიტაცა ავტომობილი, რომელშიც 88 წლის ქალი იმყოფებოდა.

ინციდენტი პარკ-რიჯში, ჩიკაგოს გარეუბანში მოხდა. საღამოს საათებში მოხუცი ქალბატონის ოჯახის წევრებმა მანქანა აფთიაქის ავტოსადგომზე დატოვეს და მაღაზიაში საყიდლებზე წავიდნენ. როდესაც ისინი უკან დაბრუნდნენ, მანქანა და მასში მყოფი ქალი ადგილზე აღარ დახვდათ.

– ის ფიზიკურად წესრიგშია, გამტაცებელს მისთვის ზიანი არ მიუყენებია, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მოზარდმა ქალი სახლში მიიყვანა, რის შემდეგაც ჩიკაგოსკენ გაემგზავრა, სადაც ის საბუთების შემოწმების მიზნით იქნა გაჩერებული და დაკავებული.

პოლიციის მონაცემებით, 14 წლის გამტაცებელი ავტომობილების მრავალი გაუჩინარების შემთხვევებთანაა დაკავშირებული. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მისი ქმედების მოტივებს არკვევენ. მათი მონაცემებით, ეჭვმიტანილი თავის ორ თანატოლთან ერთად მოქმედებდა, რომლებიც ადრე დააკავეს.

## ფრანგულმა სასამართლომ ჰერმაფროდიტი გაურკვეველ სქესად არ ცნო



საფრანგეთის ორლეანის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მოქალაქე, რომელსაც მამაკაცისა და ქალის სასქესო ორგანოები აქვს, მესამე (გაურკვეველ) სქესს მიეკუთვნება.

2015 წლის აგვისტოში საფრანგეთის ქვემდგომმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელე-ჰერმაფროდიტი (მისი ვინაობა უცნობია) იღებდა უფლებას, ოფიციალურ საბუთებში საკუთარი სქესი მიეთითებინა, როგორც გაურკვეველი, თუმცა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, იმის გამო, რომ მოსარჩელე ქორწინებაში იმყოფებოდა და ბავშვიც ჰყავდა ნაშვილები, მსგავსი გადაწყვეტილება „ეწინააღმდეგება მის გარეგნულ მონაცემებსა და საზოგადოებაში ქცევას“.

ადვოკატ მილა პეტკოვას თქმით, საქმის განხილვა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსა და ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლოში გაგრძელდება.

## პანდამ სექსის შემდეგ პარტნიორს სცემა



ავსტრიის დედაქალაქ ვენის ზოოპარკ შიონბრუნში პანდებმა იან იანმა და ლუნ ჰუეიმ სექსი პირდაპირ დამთვალიერებლების თვალწინ გააჩაღეს. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიში ზოოპარკის გვერდზე იქნა განთავსებული.

აქტის დროს მამალი პანდა ცდილობდა, უკანა თათი პარტნიორისთვის ზურგზე დაებიჯებინა. როგორც ჩანს, ამით უკმაყოფილო მდედრმა შეჯვარების დასრულების შემდეგ თათი რამდენჯერმე ჩასცხო მამრს, რის შემდეგაც მან გაქცევა ამჯობინა.

– ეს სქესობრივი აქტი სენსაციურია დიდი პანდებისთვის. სხვა ზოოპარკებში ამ ცხოველების მხოლოდ ხელოვნურ განაყოფიერებას მიმართავენ, – ნათქვამია ვიდეოჩანაწერის კომენტარში, რომელიც ზოოპარკის წარმომადგენელმა გააკეთა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**



## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



**ცნობილი სექსოლოგი**
**გიორგი გოგბაიძე**
**სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს.**
**ტელ: 599-25-50-50.**

# ყაზახეთი საქართველოში მოგებით მოდის და იმუქრება



ყაზახეთის ნაკრები საქართველოში კარგ ხასიათზე მოდის. მწვრთნელთა კვარტეტის მქონე ყაზახებმა ანტალიაში ამხანაგური მატჩი გამართეს აზერბაიჯანთან და 1:0 მოუგეს. ერთადერთი გოლი ნახევარმცველმა მაქსატ ბაიჟანოვმა მე-8 წუთზე თავური დარტყმით გაიტანა.

ყაზახები 29 მარტს თბილისში დინამო არენაზე საქართველოს დაუპირისპირდება.

ყაზახეთი-აზერბაიჯანი მთლიანობაში თანაბარი თამაში იყო, მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა უფრო სახიფათოები – ყაზახებს, რომლებმაც, გოლის გარდა, ორჯერ მოარტყეს ბურთი ძელს.

მწვრთნელებმა აზერბაიჯანთან გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: პოკატილოვი, ახმეტოვი, ლოგვინენკო, მალი, სმაკოვი (ტაგიბერგენი 88), შომკო, ისლამხანი (ნურგალიევი 64), ბაიჟანოვი (კუატი 60), მუჟიკოვი (დოსმაგომბეტოვი 67), ხიჟნიჩენკო (შჩეტკინი 71).

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, ვლადიმირ ვაისი ყაზახებისთვის კარგად არის ცნობილი. გარდა იმისა, რომ სლოვაკი სპეციალისტი ალმა ატის კაირატს წვრთნიდა, მისი დანიშვნა ყაზახებს ნაკრებშიც სურდათ, მაგრამ ვაისმა საქართველო არჩია და სწორედ ამის გამო ახლა აზიური ნაკრებს 4 სპეციალისტი რომ წვრთნის.

აზერბაიჯანთან გამარჯვების გოლის ავტორმა, ნახევარმცველმა მაქსატ ბაიჟანოვმა საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩშიც გამარჯვება დაგეგმა:

– ქართული ფეხბურთი ყოველთვის ტექნიკური იყო და ამასთანავე, ცოტა ხნის წინ გუნდს სათავეში გამოცდილი სპეციალისტი ვლადიმერ ვაისი ჩაუდგა. ვფიქრობ, ჩვენი სამწვრთნელო შტაბი მეტოქის შესახებ სრულ ინფორმაციას მოგვცემს და მატჩისთვის მოვემზადებით. ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებისთვის ვითამაშებთ.

ჩვენი ნაკრებიც ზღვის პირას ემზადება ყაზახებთან სათამაშოდ. მხოლოდ თბილისის ზღვასთან მდებარე საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის ბაზაზე.

როგორც ცნობილია, ჩვენს ნაკრებში ცვლილებებია. ახალგაზრდული ნაკრებიდან ვლადიმირ ვაისმა 3 ფეხბურთელი დაიმატა – გიორგი აბურჯანია, ლაშა დვალი და ნიკა კაჭარავა. ბოლო დღეებია სლოვაკი სპეციალისტი 23 ფეხბურთელს ავარჯიშებს.

**მეკარეები:** გიორგი ლორია (კრილია, რუსეთი), ნუკრი რევიშვილი (მორდოვია, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** ალექსანდრე ამისულაშვილი, უჩა ლობჟანიძე (ორივე დინამო თბ), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), გიორგი ნავალოვსკი (სკა-ენერგია, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლაშა დვალი )სლასკი, პოლონეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი (ინტერი, აზერბაიჯანი), ალექსანდრე კობახიძე (დნიპრო, უკრაინა), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ლევან ყენია (სლავია, ჩეხეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (ესქიშეჰირი, თურქეთი), ნიკა ძალამიძე (რიზე, თურქეთი), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), გიორგი ჭანტურია (დუისბურგი, გერმანია), გიორგი აბურჯანია (ხიმნასტიკი, ესპანეთი);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), მათე ვაწაძე (ორჰუსი, დანია), გიორგი ქვილითაია (დინამო თბ), ნიკა კაჭარავა (როსტოვი, რუსეთი).

# უმცროსი ვლადიმერ ვაისი: „მამას პირველად დავუპირისპირდები“



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის შვილი, უმცროსი ვლადიმერ ვაისი, რომელსაც თავის დროზე სიტის, ბოლტონის, რეინჯერსის, ესპანიოლის, პესკარასა და ოლიმპიაკოსის მაისური მოურგია, ახლა ყატარში თამაშობს, პარალელურად, სლოვაკეთის ნაკრების წევრიც არის.

სლოვაკებთან ჩვენებს მაისში აქვთ ამხანაგური თამაში. სწორედ ამით დაინტერესდნენ იქაური ჟურნალისტები და უმცროს ვაისს ინტერვიუ ჩამოართვეს.

***– მაისის ბოლოს სლოვაკეთი ამხანაგურ მატჩს საქართველოს ნაკრებთან გამართავს, სადაც მთავარ მწვრთნელად მამათქვენი დაინიშნა. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?***

– ყაზახეთში მუშაობის შემდეგ მამა გარკვეული დროის განმავლობაში სახლში იყო. ამ პერიოდში საქართველოს ნაკრებში მუშაობა შესთავაზეს, რასაც დათანხმდა. დარწმუნებული ვარ, ის ქართველებს მატჩების მოგებაში დაეხმარება, მაგრამ მას მერე, რაც ჩვენ შეგვხვდებიან.

***– საქართველოდან წინადადების შემდეგ მან თქვენთან კონსულტაცია გაიარა?***

– მან იცის, რასაც აკეთებს. კონტრაქტის გაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრე ყატარში პირადად შევხვდი და ჩვენ ამ საკითხზე ვისაუბრეთ.

***– ეს ერთმანეთთან თქვენი პირველი დაპირისპირება იქნება?***

– დიახ.

***– მამის ჯობნის შანსი ყოველდღე არ გეძლევა.***

– რა თქმა უნდა. იყო პერიოდი, როდესაც მის გაწვრთნილ ნაკრებში ვთამაშობდი, ხოლო ახლა პირისპირ შევხვდებით, რაც საინტერესო იქნება.

# 19-წლამდე ნაკრებმა ინგლისთან წააგო და ესპანეთს ქულა წაართვა




საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტრაუნდის პირველ ტურში ინგლისთან 1:2 დამარცხდა. გიორგი ყიფიანის გუნდმა საწყის ათ წუთში მიიღო ორივე გოლი და მეორე ტაიმში რამდენჯერმე მიეცა ანგარიშში სხვაობის შემცირების შანსი, თუმცა ეს მხოლოდ 84-ე წუთზე შეძლო. ირაკლი ბიძინაშვილის პასით თავი კაპიტანმა გურამ გოშთელიანმა გამოიჩინა. ქართველები დარჩენილ დროშიც ცდილობდნენ მატჩის გადარჩენას, მაგრამ ბიძინაშვილის დარტყმული მიზანს ასცდა.

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტრაუნდის მეორე ტურში მასპინძელ ესპანეთთან 1:1 ითამაშა. გიორგი ყიფიანის გუნდი მე-8 წუთზე ირაკლი ბიძინაშვილის გოლით დაწინაურდა, თუმცა ფავორიტად შერაცხულმა ესპანეთმა ტაიმის ბოლოს ანგარიშის გათანაბრება მაინც შეძლო – გოლი მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა ბორხა მაიორალმა გაიტანა. ჩვენს გუნდს ამ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ეხმარებოდა კაპიტანი გურამ გოშთელიანი, რომელმაც წინა ტურში ინგლისთან თამაშში გოლით გამოიჩინა თავი. ესპანეთთან შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს მეორე ტაიმშიც ჰქონდა რამდენიმე მომენტი, ისევე, როგორც მასპინძლებს, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა.

ესპანელებთან ჩვენმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გოშაძე, ჩაჩუა, ლოჩოშვილი, ჭიჭინაძე, მამუჩაშვილი (ალთუნაშვილი 65), არდაზიშვილი, ართმელაძე (კიკნაძე 81), სამურკასოვი (ბერიძე 76), მიქელთაძე, ბიძინაშვილი, კომახიძე

# შვაინშტაიგერის ევროპაზე თამაში საეჭვოა

ევროპის ჩემპიონატზე ბასტიან შვაინშტაიგერის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა – მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველმა მუხლის ტრავმა ნაკრების ვარჯიშზე მიიღო, რის შემდეგადაც მიუნხენში ბაიერნის ყოფილ ექიმ ჰანს ვილჰემ მიულერ-ვოლფრატთან გამოკვლევაზე გააგზავნეს.



**იოაჰიმ ლიოვი, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი:**

– ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. მან პასი გააკეთა და უცებ ფეხმა ძველი ტრავმა გაახსენა, თუმცა ბასტიანი გამოცდილი და მოტივირებული ფეხბურთელია, იგი თავის სხეულს იცნობს. ბასტიანს არც მსოფლიოს ჩემპიონატამდე არ უვარჯიშია გუნდთან ერთად, მაგრამ ყველამ ვნახეთ როგორ ითამაშა ბრაზილიაში. ასე რომ, ჯერ იმედი გვაქვს, რადგან ევრომდე დიდი დროა.

შვაინშტაიგერმა ინგლისთან მატჩი უკვე გამოტოვა, ასევე ვერ ითამაშებს იტალიის ნაკრებთან.

ევრო 2016-ზე გახსნის მატჩში კი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები 10 ივნისს უკრაინას დაუპირისპირდებიან.

# მორატა მადრიდში ბრუნდება?

## რეალი და იუვენტუსი ფეხბურთელების გაცვლასთან ახლოს არიან




მადრიდის რეალი და ტურინის იუვენტუსი მოლაპარაკებასთან ძალიან ახლოს არიან.

საქმე ეხება ალვარო მორატას სამეფო კლუბში დაბრუნებას. ამასთანავე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბლანკოსი პოლ პოგბას შეძენითაც ინტერესდება.

თავის მხრივ, იუვეც გამოთქვამს რეალის ფეხბურთელის მიმართ ინტერესს – იტალიელების ისკო ალკორკონი სურთ.

ორმხრივი შეთანხმება ნაწილობრივ მიღწეულია და დიდია შანსი იმისა, რომ პოგბა და მორატა ბლანკოსის, ხოლო ისკო იუვეს მაისურში ვიხილოთ.

რეალი ასევე დიდ ინტერესს გამოხატავს მირალემ პიანიჩის მიმართ. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი ეჭვის ქვეშ თავად ფეხბურთელმა დააყენა. იტალიური რომას ნახევარმცველმა საბოლოო მოსაზრება და პასუხი მედიის საშუალებით დააფიქსირა.

**მირალემ პიანიჩი:**

– ჯერჯერობით არსად წასვლას არ ვაპირებ. რომაში თავს მშვენივრად ვგრძნობ და აქ ვაპირებ კიდევ რამდენიმე წლის გატარებას. მე და ჩემი აგენტი ამ ეტაპზე არცერთი კლუბის შემოთავაზებას არ განვიხილავთ. სამომავლოდ თუ სიახლე დამჭირდება, აუცილებლად დავთანხმდები ნებისმიერი კლუბის წინადადებას. ამ ეტაპზე ისეთ გრანდზეც კი უარს ვაცხადებ, როგორიც მადრიდის რეალია.

# 15-წლამდე კალათბურთელთა ნაკრები სუპერფინალში ვერ მოხვდა




საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ახალგაზრდული ლიგის მე-3 ეტაპი 4 მოგებითა და 1 მარცხით დაასრულა. კაუნასში ქართველებმა ევროპის ლიგის ბოლო მატჩი გამართეს და ფინურ მუკისთან იოლი გამარჯვება მოიპოვეს – 82:62.

ნოდარ ქორქიასა და ირაკლი მაისურაძის გაწვრთნილმა გუნდმა მატჩის ბედი პირველსავე მეოთხედში გადაწყვიტა, რომელიც 35:10 მოიგო და შემდეგ თავი დიდადაც არ შეუწუხებია. საქართველოს ნაკრებში 24 ქულით საუკეთესო იყო ნიკა ნიკოლაიშვილი. 20 ქულა მიითვალა ირაკლი სულხანიშვილმა, ხოლო ლაშა მიქელაძის ანგარიშზე 14 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

საქართველოს ნაკრებმა კაუნასში დასრულებული ევროპის ლიგის მესამე ეტაპი კლაიპედასთან დასანანი მარცხით (52:55) დაიწყო, რის შემდეგაც მიჯრით 4 შეხვედრა მოიგო და ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულა. კლაიპედას გუნდმა ქართველებისგან ძლეულ ტარტუ როკთან კი წააგეს, მაგრამ საქართველოს პირადი მოგების ხარჯზე აჯობეს.

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ლიგის სეზონი დაასრულა, რომლის ფარგლებშიც 15 მატჩიდან 8 გამარჯვება მოიპოვა და 16 მონაწილიდან სუპერფინალში გასულ 4 გუნდს შორის ვერ მოხვდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

## 26 მარტი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| გერმანია-ინგლისი | 2:3 |
| აზერბაიჯანი-ყაზახეთი | 0:1 |
| რუსეთი-ლიტვა | 3:0 |
| ავსტრია-ალბანეთი | 2:1 |
| პოლონეთი-ფინეთი | 5:0 |
| უნგრეთი-ხორვატია | 1:1 |
| **აფრიკა. ერთა თასი** | |
| მავრიტანია-რუანდა | 1:0 |
| სეიშელი-ლესოტო | 2:0 |
| ბურუნდი-ნამიბია | 1:3 |
| კამერუნი-ს.აფრიკა | 2:2 |
| დ.კონგო-ანგოლა | 2:1 |
| კაპო ვერდე-მაროკო | 0:1 |
| ბურკინა ფასო-უგანდა | 1:0 |
| სენეგალი-ნიგერი | 2:0 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| ხიმნასტიკი-ნუმანსია | 1:0 |
| უესკა-ბილბაო ბ | 1:2 |
| ლეგანესი-ელჩე | 0:0 |
| ოსასუნა-ტენერიფე | 0:0 |
| ოვიედო-პონფერადინა | 3:0 |
| კორდობა-ალავესი | 1:2 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| ასკოლი-ვიჩენცა | 1:2 |
| აველინო-კროტონე | 0:0 |
| ჩეზენა-ლატინა | 3:0 |
| კომო-ენტელა | 1:1 |
| ლანჩანო-პერუჯა | 0:1 |
| ლივორნო-პრო ვერჩელი | 0:1 |
| მოდენა-კალიარი | 1:2 |
| სპეცია-ტრაპანი | 1:2 |
| ტერნანა-პესკარა | 1:0 |
| ბრეშა-ნოვარა | 0:0 |
| სალერნიტანა-ბარი | 3:4 |

# საქართველომ საფრანგეთთან ისევ წააგო

<u>საფრანგეთი-საქართველო 42:0</u>



ზედიზედ მეორედ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთმა იმარჯვა. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ფინალურ რკენაში კლასითა და ღონით ბევრად აღმატებულ მეტოქესთან იბრძოლეს, მაგრამ დაცვაში დაშვებული შეცდომების და შეტევაში ამის შედეგად ნაკლები თავდაჯერებულობის გამო 42:0 დათმეს შეხვედრა. ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მატჩის მსვლელობისას ბრძოლა არც ერთი წამით არ შეუწყვეტიათ, უბრალოდ მეტოქესთან გამკლავება სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა.

თამაში ძლიერ ქარსა და წვიმაში დაიწყო, მაგრამ ბუნებრივი პირობები მეტოქისთვისაც ანალოგიური იყო. საწყისშივე ორი მარტივი შეცდომა ორ ლელოდ დაგვიჯდა, მერე კონტრშეტევაზე მესამე ლელოც გავუშვით.

არადა, 0:7-ზე ლელოს გატანის შანსი იყო, ელგუჯა კიკვაძემ ხაზიც გადაკვეთა, თუმცა ბურთი ვერ დაამიწა. ამ ეპიზოდში ანგარიშის გათანაბრებას ეგებ სიტუაცია შეეცვალა.

ტაიმი 0:35, ხოლო თამაში 0:42 დავთმეთ და საქართველო 18-წლამდელთა ასაკში ევროპაში ჯერჯერობით კვლავ მეორე გუნდად რჩება.

შეგახსენებთ, შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში საფრანგეთმა 57:0 იმარჯვა.

ამრიგად, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ევროპის ვიცეჩემპიონების ტიტული ზედიზედ მეორედ დაისაკუთრეს.

**ფრანგებთან ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო:** მამუკაშვილი, ნარიმანიძე, სვანიძე, მარგიანი, კალანდაძე, აფრასიძე, კიკვაძე; გოგიჩაშვილი, ზამთარაძე, შათირიშვილი, საღინაძე, ჯაიანი, მამამთავრიშვილი, გიგოლაშვილი, მაჩალაძე;

**მარქაფა:** ნუცუბიძე, პაპიძე, აზარიაშვილი, გრიგალაშვილი, კალმახელიძე, ხეთაშვილი, წიკლაური, ხამაშურიძე, ჯალაღონია, ხურცილავა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ფაჩულიას ორმაგი დუბლი და რეკორდისკენ მიმავალი გოლდენ სტეიტი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მეჯრიმ შეხვედრა 1 ქულითა და 3 მოხსნით დაასრულა. დალასელებმა ამ მატჩში დაასვენეს დირკ ნოვიცკი, თუმცა, ეს რომ არ გაეკეთებინათ, ვინძლო, ლიგის ლიდერი მისსავე მოედანზე დაემარცხებინათ.

ტეხასელები ოკლენდში თავიდანვე ჩამორჩნენ და დიდ შესვენებაზე 14 ქულით აგებდნენ, თუმცა ფაჩულიას და კიდევ ერთ სათადარიგო ჩარლი ვილანუევას ძალისხმევით მესამე პერიოდში თამაში გაათანაბრეს და ბოლო წუთებზე მოგების შანსიც გაუჩნდათ. შეხვედრის დასრულებამდე 2,30 წუთით ადრე დალასელებმა ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს, თუმცა ...

გოლდენ სტეიტმა საბოლოოდ 128:120 იმარჯვა და ახლა ამ გუნდის შედეგი 65 მოგების წილ 7 მარცხს შეადგენს. დარჩენილი 10 მატჩიდან ოკლენდელებმა 8 რომ მოიგონ, ჩიკაგოს 20 წლის წინ დამყარებულ რეკორდს გააუმჯობესებენ, რომელიც რეგულარულ ჩემპიონატში 72 მოგების ტოლფასია.

დალასს 35 მოგების წილ 37 მარცხი აქვს და დასავლეთ კონფერენციიდან პლეი ოფში გამსვლელ ბოლო, მე-8 ადგილზე იმყოფება, თუმცა ასეთივე შეფარდება გააჩნია იუტა ჯაზსს, რომლიც პირად შეხვედრებში უარყოფითი შედეგის გამო ჩამორჩება დალასს.

მომდევნო მატჩს დალასი საკრამენტოში გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ჰიუ ჯეკმანმა დამსვენებლები გადაარჩინა



ავსტრალიელმა მსახიობმა ჰიუ ჯეკმანმა სიდნეის პლაჟზე დასვენების დროს თავისი 15 წლის შვილი, ოსკარი, დახრჩობას გადაარჩინა, როდესაც ზღვის მიქცევის დროს ის წყალმა ჩაითრია. ამ ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია ადგილობრივ მედიაში გავრცელდა. საკუთარი შვილის გარდა, მსახიობი წყლიდან ამოსვლაში სხვა დამსვენებლებსაც დაეხმარა.

თვითმხილველთა თქმით, ძლიერი დინება დამსვენებლებს თავს მოულოდნელად დაატყდათ, თუმცა ჯეკმანი არ დაბნეულა და მაშინვე შეუდგა მოცურავეების წყლიდან ქვიშიან ნაპირზე ასვლაში დახმარებას. მალე მას მაშველებიც შეუერთდნენ, რომლებმაც მოგვიანებით მსახიობს ინსტაგრამში მადლობა გადაუხადეს.

ინციდენტიდან გარკვეულ დროში პლაჟი დამსვენებლებისთვის ძლიერი მოქცევის გამო დაიხურა.

თავად მსახიობმა მომხდარზე კომენტარისგან თავი შეიკავა.

## უგონოდ მთვრალმა ბრიტანელმა თავი ესპანეთში ამოყო




დიდი ბრიტანეთის ესექსის საგრაფოს მცხოვრებმა ალექს კევიელმა სალამოს წვეულების შემდეგ თვალი თვითმფრინავის სალონში გაახილა, რომელიც ბარსელონაში მიფრინავდა. ასეთი მოულოდნელი მოგზაურობა უგონოდ მყოფ ბრიტანელს 1,4 ათას დოლარზე მეტი დაუჯდა.

– ჩვეულებრივ ამდენს არ ვსვამ, მაგრამ ამჯერად წვეულება მთელი ღამე გაგრძელდა. როდესაც მე და ჯეიმსი (მეგობარი) ერთმანეთს დავშორდით, მახსოვს, თავში აზრმა გამიელვა, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ სადმე გავფრინდებოდი. შემდეგ მეტად რეალური სიზმარი ვნახე, რომ თვითმფრინავში ვიმყოფებოდი, მაგრამ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია და, უბრალოდ, ძილი გავაგრძელე, – განაცხადა კევიელმა.

21 წლის ბრიტანელმა ბარსელონის აეროპორტში დაშვების შემდეგ მხოლოდ ტელეფონის დამტენი შეიძინა და ესპანეთში მოგზაურობა გააგრძელა. ის საკუთარ შთაბეჭდილებებს მეგობარს ინტერნეტით უზიარებს, ხოლო როდის აპირებს სამშობლოში დაბრუნებას, უცნობია.

## კატამ ქარბუქის დროს სორო გაიკეთა



ამერიკის ქალაქ დენვერში ქარბუქის დროს, მას შემდეგ, რაც სახლი, რომელშიც კატა ცხოვრობდა თავის პატრონებთან ერთად, სანახევროდ ნამქერით დაიფარა, ცხოველმა მასში ბუნაგი მოიწყო. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ამერიკულმა ტელეარხმა გაავრცელა.

კატის მოულოდნელი რეაქცია ქარიშხალზე ცხოველის პატრონებმა გადაიღეს. როდესაც მათ გააღეს ფანჯარა, კატა გამალებით შეუდგა თოვლის თხრას. თავდაპირველად მან თავისთვის მომცრო სორო გამოთხარა, რომელიც შემდეგ ნელ-ნელა ფართო ბუნაგად აქცია. ვიდეოს თანახმად, კატამ ამ საქმეს თავი სულ რამდენიმე წუთში გაართვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რეზო ამაშუკელი იმუქრება



პოეტი რეზო ამაშუკელი იმუქრება. ის ხელისუფლებას მიმართავს და მოითხოვს, დაინტერესდეს ყველა იმ ადამიანის საქმიანობით, რომლებიც ხმამაღლა, სიამაყით, ლანძღავენ და ჩირქს სცხებენ ყველაფერს ქართულს.

**რეზო ამაშუკელი:**

– რატომ არ უნდა ჩვენს ხელისუფლებას, რომ...

მე ხომ არ ვამბობ, რომ ეს არასამთავრობოები აკრიფოს ერთ მშვენიერ ღამეს და ციხეში ჩაყაროს?

ერთ რამეს ვთხოულობ, ელემენტარულ რაღაცას. გამოიძიონ, ვინ აფინანსებს, რას აფინანსებს, რა პროგრამა აქვს, რა წესდება აქვს, რას ემსახურებიან, ეს ხომ შეიძლება რომ გავიგოთ, რა ფული შემოდის?

ხმამაღლა, სიამაყით ლანძღავენ და ჩირქს სცხებენ ყველაფერს ქართულს. ის ლაშა ბუღაძე და ლაშა ბაქრაძე ან რატი ამაღლობელი სულ მაგათი წიწილები არიან. დატოვეს ვინმე გაულანძღავი? თავიდან ბოლომდე სულ ყველაფერი გაათახსირეს.

ერთ რამეში ვარ ბედნიერი, არ ვიცი, რამდენად მართალი ვარ ან რამდენად არა, ერთი-ორი კაი ლექსი თუ დამიწერია, ღვთის წყალობით, რისთვისაც მადლობელი ვარ უფლის.

მაგრამ, მე უფრო ამაყი და გამართული ვარ იმითი, რომ ამათ ცხვირპირში ვუხათქუნე ამდენი წელიწადი და არ დავუხარე თავი! და პირდაპირ ვაცხადებ, რომ ძალიან ხშირად მარტო ვიყავი იმ ომში!

ეს ერთი და ახლა სანამ ვიბოდიალებ ამ ქვეყანაზე, აი, ამ გაკაპასებულ დედაკაცს ამას, რომელიც თვალებს აბრიალებს და სირცხვილი ერის, რომ თინა ხიდაშელი იქნება ამხელა ისტორიისა და ამხელა წარსულის მქონე ერის თავდაცვის მინისტრი, არ მოვასვენებ!

კიდევ ხაზგასმით ვიმეორებ, სანამ პირში სული მედგმება, სანამ შემეძლება პირის გაღება და მოქმედება, ისევე, როგორც ნაციონალებს, ასევე რესპუბლიკელებს სისხლს გავუშრობ! არ მოვეშვები! იმიტომ, რომ ეგენი არიან ჩემი სამშობლოს მტრები, მოზიზღარი მტრები, უფრო უარესები, ვიდრე ვინმე ყოფილა ოდესმე!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# თემო გოცაძე იუბილეს მასშტაბური გამოფენით აღნიშნავს




ცნობილი ქართველი მხატვარი თემო გოცაძე 75 წლის იუბილეს მასშტაბური გამოფენით აღნიშნავს, სადაც წარმოდგენილი იქნება მხატვრის მიერ ბოლო წლებში შექმნილი კოლექცია სახელწოდებით „ლურჯა ცხენებიდან აბსტრაქციებამდე“, სულ 140 ნამუშევარი. მათ შორისაა მონუმენტური აბსტრაქციები, რომელთა უმეტესობა ფართო საზოგადოების წინაშე პირველად გამოიფინება. გამოიფინება გასულ წელს შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკული სერიაც.

გამოფენა ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა. საქართველოს სახალხო მხატვრის საიუბილეო გამოფენაზე მოეწყო მხატვრის კატალოგის პრეზენტაცია.

XXI საუკუნემ სრულიად ახალი ესთეტიკა მოიტანა. შეიცვალა როგორც მხატვრობისადმი მიდგომა, ასევე თავად შემოქმედთა ხედვა და მისწრაფებები. თანამედროვე ეპოქის ქართული მხატვრობის ერთ-ერთი ძლიერი ხაზი სწორედ XX საუკუნის გამორჩეული ინდივიდების შემოქმედებაზე გადის, რომელთა დიდი ნაწილი კონცეპტუალურად განსხვავებული მიდგომითა და მათთვის ჩვეული სახვითობის დაცვით მუშაობს, მათი შემოქმედების ახალ ეპოქასთან მიმართებითი ანალიზი კი ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო საკითხია.

თემო გოცაძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, კალიფორნიის ფედერალურ მუზეუმში, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში, დუსელდორფის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, კანადის თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში და კერძო კოლექციებში იტალიაში, აშშ-ში, მექსიკაში, ირანში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, თურქეთში, რუსეთსა და საქართველოში.

თემო გოცაძის ნამუშევრების გამოფენა ეროვნულ გალერეაში 15 აპრილამდე გაგრძელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ასტროპროგნოზი
## 28 მარტისათვის



**ვერძი** – საეჭვო ადამიანებთან კონტაქტი ცუდ შედეგს გამოიღებს. ხელგაშლილობა და არაეკონომიურობა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. **კურო** – ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით, თუ სათანადო შეუპოვრობასა და შრომისმოყვარეობას გამოიჩენთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – შინაგანად აფორიაქებული ხართ. საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. უახლოეს მეგობარს გული გადაუშალეთ და უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლდით. **კირჩხიბი** – საკმაოდ დაძაბული დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, ამიტომ პარტნიორთან ურთიერთობაში კონფლიქტია მოსალოდნელი. დღეს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ. **ლომი** – ნურაფრის გეშინიათ, დღეს ძლიერი ხართ, როგორც არასდროს. გარს მხოლოდ სანდო ადამიანები შემოიკრიბეთ. **ქალწული** – დათრგუნეთ თქვენი სიჯიუტე, რაც ძალიან გიშლით ხელს ცხოვრებაში. საღამოს სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. **სასწორი** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. მოსალოდნელია კამათი გარშემომყოფებთან. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მორიელი** – ფინანსებს გაუფრთხილდით, ფულს იოლად ნუ დახარჯავთ, საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს, უმჯობესია, სახლში დარჩეთ. **მშვილდოსანი** – შესანიშნავი პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად, ახალი იდეების განსახორციელებლად. წარმატებით დაგვირგვინდება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები. **თხის რქა** – სამსახურში კონფლიქტი გელით. ყველანაირ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ, იყავით მოწესრიგებული და გული არ გაიტეხოთ. **მერწყული** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური შესაძლებლობები. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. **თევზები** – მთელი დღე ენერგიით ხართ სავსე. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. ამის მიუხედავად, სიძნელეები მაინც შეგხვდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.


# სკანვორდი




1. ცალკეული შენობა კვარტალში; 2. მაღალი წიწვოვანი ხე; 3. „... დაიდარდო!“; 4. სურინამის დედაქალაქი; 5. ცხოველთა სამყარო; 6. დოლი; 7. ტყავის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე; 8. ფრანგი კომპოზიტორი (1683-1764); 9. კათოლიკური წირვა; 10. ავი სული; 11. ... ღვთისმშობელი; 12. თეატრის თანამშრომელი; 13. ბილიარდის ჯოხი; 14. ხმადაბლა (მუს.); 15. ... კლინტონი; 16. კატის გასაგდები შეძახილი; 17. მსახური ქალი ჰარამხანაში; 18. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 19. თაობიდან-თაობაზე გადაცემული წეს-ჩვეულება; 20. უთავბოლო ცხოვრების მოყვარულნი; 21. შტო; 22. ხის ფეხსაცმელი; 23. ... გრანელი; 24. ჰიმალაის დათვი; 25. ქალაქი ლიტვაში; 26. შტატი (აშშ); 27. სკანდინავიური ეპიკური ლიტერატურის ძეგლი; 28. სახელმწიფო აზიაში; 29. რაიმე მოვლენის განვითარება დროის გარკვეულ მონაკვეთში; 30. სამის აღმნიშვნელი წინსართი; 31. ნიავი; 32. იტალიური ღვეზელი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. საზამთრო; 6. ქერი; 7. დარჯაკი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. ზული; 16. ხოხობი; 18. ჰოკაიდო; 19. გროზნო; 21. ტანგო; 24. ლახტი.

**თარაზულად:** 1. ლაქტოზა; 3. „კოდაკი“; 8. საბენა; 9. ტუფი; 14. „ნოკია“; 15. მუღამი; 17. ლიმა; 20. კვანტი; 22. რიონი; 23. რიგელი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. „საბა“; 28. ხაბიზგინა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ორაგული; 3. ანდამატი; 4. აქსესუარი; 5. ლავრა; 6. უშგული; 8. ხორუმი; 11. დუბლინი; 14. ონომასტიკა; 15. პოლონეზი; 16. ბარისტერი; 17. ხამონი; 19. რენუარი; 21. „გიუმი“; 22. სეული.

**თარაზულად:** 1. მოწამეთა; 5. ლომუ; 7. ლუხუმი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალაბამა; 13. „დიადორა“; 16. „ბენეტონი“; 17. ხიდი; 18. პროზა; 20. კლარნეტი; 22. სტეკი; 23. თურინჯი; 24. ეტიუდი; 25. „მარკა“.

# შორენა ბეგაშვილის შვილი მეხუთე სართულიდან გადავარდა

მსახიობისა და ტელეწამყვანის შორენა ბეგაშვილის შვილი მეხუთე სართულიდან გადავარდა.

გავრცელებული ინფორმაციით, 14 წლის ევა ბარბაქაძე ფანჯარაზე იჯდა და სელფის იღებდა, როდესაც თავი ვეღარ შეიკავა და ფანჯრიდან გადავარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ევა მრავლობითი მოტეხილობებით რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი მოზარდის იაშვილის კლინიკაში ტრანსპორტირება განხორციელდა.

იაშვილის ექიმების განმარტებით, მას მრავლობითი მოტეხილობები აღენიშნება. მოზარდს ხერხემალიც დაზიანებული აქვს. გოგონა რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

მედიაში ორი ვერსია გავრცელდა. პირველი ვერსიით, გოგონა სელფის იღებდა, რა დროსაც საკუთარი სახლის ფანჯრიდან გადავარდა, მეორე ვერსიით კი შეყვარებულს ეჩხუბა და თვითმკვლელობა ცადა.

ამ ინფორმაციის გავრცელებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა ისიც კი თქვა, ცნობილი ადამიანის შვილი რომ არის, იმიტომაც ავრცელებთ ასე სწრაფად ინფორმაციას, რიგითი მოზარდი რომ ყოფილიყო, ასე არ იაქტიურებდითო.

გამოითქვა მოსაზრებაც, გოგონას დედის ცოდვებმა უწიაო.

ევა ბარბაქაძის უბედურ შემთხვევას საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები გამოეხმაურნენ.

**ლევან კირვალიძე, ჟურნალისტი:**

– ევას მდგომარეობა არის სტაბილურად მძიმე, დამტვრეული აქვს ძვლების უმეტესი ნაწილი, დაუზიანდა ხერხემალიც, რაც მთავარია, თავი არ დაურტყამს. ღმერთო, ყველაფერი კარგად დამთავრდეს.

პ.ს. არ გადმოხტა, გადმოვარდა და ნუ მკითხაობთ ამ უბედურებაზე!

**ნანუკა ჟორჟოლიანი, ჟურნალისტი:**

– შორენა ბეგაშვილის 14 წლის შვილის ფანჯრიდან გადავარდნის საშინელ ფაქტზე რა კომენტარებსაც მე ვკითხულობ! ქილიკს, ღადავს! მაშინ როცა ბავშვი რეანიმაციულში სიკვდილს ებრძვის! ეს ხალხი ერთ კუნძულზე უნდა შეყარო და დაწვა! ეს ბნელი ხალხი!

**ნინი დედალამაზიშვილი, მუსიკოსი:**

– ერი, რომელიც ვერ შედგა საზოგადოებად...! ადამიანები, რომლებიც სხვისი პირადი ცხოვრებით ცხოვრობენ და ვერც მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას გრძნობენ, რომ სხვისი პირადი ვიდეოს იგნორი პოზიციის დაფიქსირებაა, ქვეყანა, სადაც დელფინები ნაპირზე კვდებიან, ხეები კი ზღვაში დაცურავენ უმისამართოდ, ქვეყანა, სადაც სიყვარული პორნოგრაფიაა და „მამულიშვილები“ ქვეცნობიერი ფობიების გამო ძეგლებს ებრძვიან, იქ, სადაც ანგარიშვალდებულები ვართ მეზობელ „როზასთან“... ქვეყანა, სადაც 15 წლის ევას სიკვდილთან ბრძოლას დედის „ცოდვებს“ აბრალებენ... ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!

**გიორგი კეკელიძე, მწერალი:**

– შორენა ბეგაშვილის შვილის სამწუხარო ამბავი, რომელიც, ძალიან დიდი იმედი მაქვს, გამოჯანმრთელდება, აგერ ახლა, ერთ საიტზე წავიკითხე. კომენტარებში, არა „ნიკებით“ და „ანონიმკებით“, არამედ ღიად იდენტიფიცირებული ხალხი სრულიად სერიოზულად წერს, დედამისი ბოზი რომ არის, ამიტომაც დაემართაო. ამ დროს უნებლიეთ მინდება ჩემთვის ყველაზე საძულველი კითხვის დასმა: „გვეშველება რამე?!“ პ.ს. დავარედაქტირებ: გვეშველება. საშინლად არ მიყვარს ეს კითხვა,



ჩვენს მონაწილეობას გამორიცხავს პროცესში და იმიტომ. ჩვენ უნდა ვუშველოთ.

**თაკო გაჩეჩილაძე, მომღერალი:**

– ბავშვი აუცილებლად გადარჩება, მაგრამ ამათ არაფერი ეშველებათ! მრცხვენია, რომ ქართველები ჰქვია მაგ ხალხს! კიდევ კარგი, უმრავლესობაში არ ხართ! ბანძებო!

**მარკუს მეტრეველი, მომღერალი:**

– ამდენი უაზრო ჭორაობისა და პოპულისტური კომენტარების ნაცვლად აჯობებს, ამ განსაცდელის დროს ილოცეთ ყველამ, რომ მალე გამოკეთდეს ევა!

**სალომე ტეტიაშვილი, მომღერალი:**

– განა როგორი ბოღმა და ბოროტება უნდა ედოს ადამიანს გულში, რომ 14 წლის ბავშვის სიკვდილი ინატროს?! გაოგნებული ვარ, ისეთ რაღაცებს ვკითხულობ!

**გიორგი სუხიტაშვილი, მომღერალი:**

– ჩვენ ვართ სხვისი სექსის მაყურებლები, ანანისტებითა და სადისტებით სავსე საზოგადოება, ყოველგვარ ეთიკასა და ესთეტიკას გაცდენილი კადრების ყურებისას სიამოვნებას განიცდიან. ეს არ იკმარეს, ახლა 14 წლის ბავშვი გადმოვარდა მაღალი სართულიდან, უმძიმესადაა და ვიღაცა ნაბიჭვრები დგანან და ამაზე ღადაობენ, ქირქილებენ, ზოგი დედამისის ცხოვრებას იხსენებს, ზოგი ბრაზობს, თუ რატომ გავრცელდა ეს ამბავი ასე.

თქვე უსქესოებო და სადისტებო, ბავშვმა რა ქნას, თუ დედა პოპულარული ჰყავს და ასე გავრცელდა მისი ამბავი. ან სახლში არ გყავს ოჯახის წევრი, არ შეგიძლია, საკუთარ თავზე წარმოიდგინო ეს??? ვახ, ვცდილობ, კორექტული ვიყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?

**მაიკო კაჭკაჭიშვილი, კომპოზიტორი:**

– ჩვენზე უნამუსო ხალხი არ არსებობს!!!! რეებს ბედავთ, თქვე ჭიანჭველებო!!! ბავშვზე რეებს წერთ???? მართლა ფურთხის ღირსი ყოფილხარ, გურჯისტანო!!!

**მარიამ როინიშვილი, მომღერალი:**

– ვკითხულობ კომენტარებს ევას მდგომარეობასთან დაკავშირებით და შოკირებული ვარ!!! დედაშვილობაზე დიდი გრძნობა არ არსებობს და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ თუნდაც ერთი ადამიანი გამოჩნდებოდა ისეთი, რომელიც ასეთ გაბოროტებულ კომენტარებს დაუწერდა იმ დედას, რომელსაც შვილი მძიმე მდგომარეობაში ჰყავს!!! რამ გადაგრიათ???

**დიმა კობეშავიძე, მომღერალი:**

– რა ფსიქიკის პატრონია ადამიანი, რომელიც არ უთანაგრძნობს იმ გოგოს დედას, რომელიც მე-5 სართულიდან გადმოვარდა და სიკვდილს ებრძვის! ფეისბუქი აშკარად გვანახებს, ვინ არის რეალურად მე-10 და მე-20 სართულიდან გადმოსაგდები 2-ჯერ ან 3-ჯერ მაინც მიყოლებით! იმაზე ბანძი ერი ვყოფილვართ, ვიდრე მეგონა!

# გია სურამელაშვილი ფსიქიატრიულში არ არის



მომღერალ გია სურამელაშვილს ჭორებს უვრცელებენ. ინტერნეტში აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ გია სურამელაშვილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება.

გავრცელებულ ამბავს გამოეხმაურა მისი პროდიუსერი მარინა კაშია, რომელმაც უარყო გიას ფსიქიატრიულში ყოფნის ამბავი:

– გია სურამელაშვილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არ იმყოფება, ნუ ავრცელებთ დეზინფორმაციას! მე დაგეხმარებით და გეტყვით, რომ თავად ბრძანდებით ფსიქიატრიულში და ეძებთ თქვენს საყვარელ ადამიანს გია სურამელაშვილს. გეტყვით, რომ გია სახლშია და თავს კარგად გრძნობს.

ამას თქვენ ნახავთ თავად ხუთშაბათს გია ჯაჯანიძის შოუში ახალი სიმღერის პრემიერით „გადავიღალე“. ხალხნო, მართლა არ დაიღალეთ ამდენი ბოროტებით?

**პ.ს.** ცრუ ინფორმაცია გაავრცელა ერთ-ერთმა ინტერნეტმედიამ, რომელსაც შეგნებულად არ ვასახელებთ.

# გურამ ლომიძე და ივანა მელაი ამერიკაში დაქორწინდნენ



ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი გურამ ლომიძე და უკრაინელი მომღერალი ივანა მელაი დაქორწინდნენ.

წყვილი უკვე რამდენიმე წელია, ერთად ცხოვრობს. გურამსა და ივანას თავიანთი ურთიერთობა არასდროს დაუმალავთ, მაგრამ დაოჯახებაზე აქამდე არასდროს უფიქრიათ.

ორწლიანი სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ წყვილმა დაქორწინება ამერიკაში გადაწყვიტა. გურამმა, რომელიც წლებია ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ივანას ამერიკაში წაყვანის გადაწყვეტილება მიიღო.

გურამ ლომიძისთვის ივანა მელაი მესამე ცოლია.

პირველად „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი წევრი ხატია შამუგიაზე დაქორწინდა, რომელთანაც ერთი ბიჭი ჰყავს. მეორედ ოჯახის შექმნა გურამმა ამერიკაში ყოფნის დროს გადაწყვიტა, თუმცა ეს ქორწინება მყარი არ აღმოჩნდა.

ამჯერად გურამმა კიდევ ერთხელ შექმნა ოჯახი და ამ ბედნიერების ამსახველი ფოტოები ინტერნეტში გაავრცელა.

გაბედნიერება წყვილს უამრავმა ადამიანმა მიულოცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა.

გურამი და ივანა ჩიკაგოში იცხოვრებენ.

**ივანა მელაი:**

– მართალია, ჩიკაგოში წავედით საცხოვრებლად, მაგრამ საქართველოში აუცილებლად და თანაც ხშირად ჩამოვალთ. საყვარელი ქართველების გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. რაც მთავარია, ჩიკაგოში პირველივე კონცერტზე უამრავი ქართველი მოვიდა, მათი ხილვა კი, სადაც არ უნდა ვიყო, მსოფლიოს რომელ წერტილშიც, ყოველთვის თბილისში ყოფნის ატმოსფეროს მიქმნის.

დაუჯერებელია, რომ ულევი თბილი სიტყვა და სიყვარული მივიღე, რასაც ქართველები ნამდვილად არ მაკლებენ. ჩემთვის ქართველები მსოფლიოში საუკეთესო ხალხია. ჩიკაგოში ყველაფერს სუფთა ფურცლიდან ვიწყებ – ჩემი მშობლების, მეგობრების, საყვარელი ადამიანებისა და ჩემი შემოქმედების თაყვანისმცემლების გარემოცვაში.

# ბიბი კვაჭაძე ახალგაზრდა მომღერლებს აკრიტიკებს



მუსიკოსი ბიბი კვაჭაძე ახალგაზრდა მომღერლებს აკრიტიკებს. კრიტიკის მიზეზი ფანოლის შესრულებაა, რაც, მუსიკოსის აზრით, მომავალ თაობებს ღუპავს. ასეთ მომღერლებს ბიბი ანტიმუსიკოსებსა და მუსიკის მტრებს უწოდებს.

**ბიბი კვაჭაძე:**

– ყოველთვის ინტერესით ვადევნებ თვალყურს საქართველოში მომხდარ ამბებს და ყველაფერს ძალიან განვიცდი... განსაკუთრებულად განვიცდი კულტურის, კერძოდ, მუსიკის ამბებს, ვაფიქსირებ ჩემს აზრს ყველა იმ „მომღერალთან“ დაკავშირებით, რომლებიც არ ერიდებიან „ფანოლის“ შესრულებას.

დღემდე მიკვირს, რა გამოძრავებთ?

მაღალი მუსიკაო, ვერ მეტყვით!!!!!!!!!!!

რას ერჩით თაობებს?

თქვენ ხომ კარგი მაგალითი უნდა იყოთ...

უამრავი „მიზეზით“ იმართლებთ თავს – ვითომ გასართობად, რეიტინგის ასამაღლებლად, დოლარების გასაკეთებლად ასრულებთ ამ მეჯღანუაშვილების რეპერტუარს, თან ვინ? ახალგაზრდა მომღერლები...

არ გრცხვენიათ??? 60 წელს გადაცილებული, საბჭოთა ეპოქის ასაკოვანი ადამიანები რომ იყოთ, გავიგებდი...

მაგრამ ფაქტი ერთია, თქვენ არასდროს ყოფილხართ და არც არასდროს იქნებით ნამდვილი მუსიკოსები!!!

თქვენ ხართ ანტიმუსიკოსები და მუსიკის მტრები!!!!!!!!

დიდი დანაშაული მიგიძღვით ისედაც გემოვნებადანგრეული ერის წინაშე და ამას თაობები არ გაპატიებენ!

მრცხვენია...

**პ.ს.** მომღერლობა მუსიკოსობას არ ნიშნავს!!!

# ნანა ჯანელიძეს უფლებამოსილება შეუწყდა



საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ნანა ჯანელიძეს უფლებამოსილება შეუწყდა. რეჟისორმა ეროვნული კინოცენტრის დირექტორის რანგში ბოლოჯერ შეაფასა კინოცენტრის საქმიანობა. მან თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ წასვლა და საკუთარ პროფესიაში დაბრუნება გადაწყვიტა.

ნანა ჯანელიძეს უფლებამოსილება 25 მარტს ამოეწურა. ის ეროვნულ კინოცენტრს სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. რეჟისორი კინოცენტრიდან ისევ კინოს დაუბრუნდება და გადასაღებ მოედანზე გადაინაცვლებს.

**ნანა ჯანელიძე:**

– ზუსტად სამი წელი გავიდა, რაც კინოცენტრში მოვედი. ძალიან სწრაფად გაირბინა დრომ. ეს იყო ერთი დიდი დინამიკური და არაჩვეულებრივი სამი წელი. უამრავი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელია, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ის ადამიანი, რომელიც მოვა და გააგრძელებს ჩემს მუშაობას, ის ნერგები, რომლებიც ჩვენ ჩავყარეთ, 2-3 წელიწადში ამოვა. მინდა სიამაყით ვთქვა, რომ 7 ძალიან კარგი რეჟისორი ჩაეშვა ახლა ჩემს დროს და 5 წელიწადში დიდი მოსავალი გვექნება, რასაც მაყურებელს წინასწარ ვულოცავ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**ორშაბათი 28 მარტი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.10** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** მუსიკოლოგოსი" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან" **21.00** თოქ-შოუ "რეალური სივრცე" **22.00**"სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **0.10** "კომუნიკატორი" **1.20** მხ/ფ "**მიწისძვრა**" (ა.გარდნერი)

**08.00** დ/ფ "სიყვარულის სახელით" **09.00** მხ/ფ "**ბიჭები**" **10.30** დ/ფ "ვენეცია" **11.00** ქართ. მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **12.30** დ/ფ "ვიეტნამი" **13.00** დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ. "**გატაცებული**" **01.55** მხ/ფ. "**დესანტის ზონა**" (უ.სნაიპსი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** ქ.მხ/ფ. "**სამი სახლი**" **23.30, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **9.30** Discovery - მენტალისტი კით ბარი **10.30** ჯიდიპედია **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" **15.30** Discovery- როგორ არის დედამიწა მოწყობილი **16.30** აირჩიე კაბა - მეჯვარეები **17.00** ლომბარდის დედოფლები **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30 20.30 22.00** მხ/ფ "**ნიშნები**" **23.55** ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი **0.55, 2.45** URBAN STORIES **1.45** ჯიდიპედია

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** დ/ფ "სამცხეოქროს ციხე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** მოკ. მხ/ფ "**ნისლა**" **13.00** სადვთისმსახურო წელიწადი-დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ ან/ფ **15.30** სპექტაკლი "**ასერგასის დღე**" I,II **17.20** დ/ფ "დედაო ღვთისა" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ჯვარცმული კუნძული**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ "საქართველო შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი....ფერეიდნელი ქართველები" **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**ქორწინება ანდერძით**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 მარტისთვის

| ვალუტა | კურსი |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3342 |
| ევრო | 2.6075 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3003 |
| 100 რუსული რუბლი | 3.4372 |

## ამინდის პროგნოზი 28 მარტისთვის







## 28 მარტიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

# პაოლო იაშვილი

# 100 ლექსი

## გაზეთი ახალი თაობა წარმოგიდგენთ სერიას

# ნობელიანტები ლიტერატურაში

26 მარტიდან – ერნესტ ჰემინგუეი. იქ, მიჩიგანში

2 აპრილიდან – თომას მანი. ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება

9 აპრილიდან – ჯონ გოლზუორთი. ფორსაიტების ხსნა

## №1 ლიტერატურული ჯილდო

ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 1901 წლიდან გაიცემა და წლის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ კულტურულ მოვლენადაა აღიარებული.

რამდენიმე წლის წინ გამომცემელმა კახმეგ კუდავამ გადაწყვიტა, ნობელის პრემიის ლაურეატების სერიით გამოეცა უკლებლივ ყველა ნობელიანტი, განურჩევლად ჟანრისა და ავტორის ცნობადობისა.

ნობელის პრემიის ლაურეატთა 90-ზე მეტი წიგნი – რომანები, პროზაული და პოეტური კრებულები, ესეისტიკა და ლიტერატურული პორტრეტები – სხვადასხვა დროს არაბულიდან, ბერძნულიდან, გერმანულიდან, ებრაულიდან, ესპანურიდან, თურქულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, პოლონურიდან, რუსულიდან, ფრანგულიდან, შვედურიდან, ჩინურიდან თვალსაჩინო ქართველმა მთარგმნელებმა თარგმნეს.

თითოეულ გამოცემას ერთვის შესავალი წერილი, სადაც მოთხრობილია მწერლისა და ნაწარმოების მნიშვნელობაზე; ასევე სანობელო ლექცია, რომელსაც ტრადიციულად ჯილდოს ოფიციალური გადაცემის დროს კითხულობენ ნობელმინიჭებული ავტორები.

## 29 მარტიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

# პაულო კოელიო

# ადიულტერი




ლინდამ იცის, რომ გაუმართლა. ერთი შეხედვით, იდეალური ცხოვრება აქვს. სხვების თვალში რესპექტაბელური მეუღლე, მოსიყვარულე დედა და ამბიციური ჟურნალისტია, თუმცა ყოველ დილას თვალის გახელისას მხოლოდ აუტანელ სიცარიელეს გრძნობს.

ყველაფერი იცვლება, როდესაც მის ცხოვრებაში მოულოდნელად ვნება ჩნდება. ლინდა დგება არჩევანის წინაშე, რომელმაც შეიძლება მთელი მისი ცხოვრება შეცვალოს.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**







## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

# წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

## შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით







25 მარტიდან – იესო ქრისტეს შობა

1 აპრილიდან – იესო ქრისტეს ნათლისღება

8 აპრილიდან – იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

15 აპრილიდან – იესო ქრისტეს სასწაულები

22 აპრილიდან – საიდუმლო სერობა

29 აპრილიდან – იესო ქრისტეს აღდგომა







**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

## ფაჩულიას ორმაგი დუბლი და რეკორდისკენ მიმავალი გოლდენ სტეიტი



ბოლო მატჩებში შეზღუდულ ზაზა ფაჩულიას შანსი მისცეს და მან ეს გამოიყენა. მართალია, ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა გოლდენ სტეიტთან მატჩში სათადარიგოთა სკამიდან თამაშში ჩართულმა ორმაგი დუბლი შეასრულა. ეს გახლდათ ფაჩულიას 25-ე ორმაგი დუბლი მიმდინარე სეზონში.

წინა მატჩის მსგავსად, ცენტრის პოზიციაზე დალასელთა სასტარტო ხუთეულში ტუნისელი სალაჰ მეჯრი იყო, რომელმაც 16 წუთი ითამაშა. მოედანზე შესულმა ქართველმა ცენტრმა კი დალასელთა თამაშს მუხტი შემატა, 8 წუთში ქართველმა 6 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა და მოედანზე დარჩენაც დაიმსახურა.

საბოლოოდ ფაჩულიამ 25 წუთი ითამაშა და 12 ქულა, 13 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. ზაზამ 12-დან 5 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ფაჩულია იყო ერთადერთი კალათბურთელი დალასში, რომელმაც ორმაგ დუბლს უწია.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ტაილანდელებმა სპილოები პანდებად შენიღბეს



სპილოების ნაკრძალის თანამშრომლებმა, რომელიც ტაილანდის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, გამოფენის „1600 პანდა“ ფარგლებში სამი სპილო შავ და თეთრ ფერებში გადაღებეს, ამასთან, ისე, რომ პანდებს დამსგავსებოდნენ.

სპილოები ხელით შეღებეს. ფეხები, ხორთუმები და თვალები ცხოველებს შავად შეუღებეს, ხოლო ტანი და თავები – თეთრად. ამისთვის მათ აკრილის საღებავი გამოიყენეს.

ნაკრძალის თანამშრომელმა განაცხადა, რომ გამოფენა მხოლოდ ერთ დღეს მიმდინარეობდა, ხოლო პანდებად შეღებილი სპილოები მასში მონაწილეობას მხოლოდ ორი საათის განმავლობაში იღებდნენ. მან ასევე განმარტა, რომ სპილოს ტყავის განსაკუთრებული თვისებების გამო საღებავს ცხოველებისთვის რაიმე სახის ზიანი არ მიუყენებია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# იუმორი



•••

დაწესებულებაში ახალი დირექტორი დაინიშნა. მან მდივანი გამოიძახა, შეათვალიერა და ეუბნება:

– კაბა 10 სანტიმეტრით დაიმოკლე... პომადა უფრო მკვეთრი ფერის შეარჩიე...

– და მკერდზე მარილი არ შევიზილო?

– ეგ რატომ?

– წინა უფროსს უყვარდა ლუდზე დასაყოლებლად.

•••

ქალი სტომატოლოგთან. ექიმი ეუბნება:

– ქალბატონო, ეს კბილი ამოსაღებია. ახლა მე კბილს გაზს ჩავავლებ, თქვენ ხელი მომიჭირეთ, რომ არ გეტკინოთ.

– ვაიმე, სად, ექიმო?!

•••

სტუმრად მყოფ კაცს ქალი ეუბნება:

– მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩემი ქმარი 40 წუთში მოვა.

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ ისეთს არაფერს ვაკეთებთ.

– სწორედ რომ არ აკეთებთ! სულ უფრო ნაკლები დრო გრჩებათ!

•••

მეგობრები ქალებზე საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ ქერა ქალები მოგწონს თუ შავგვრემანი?

– დიდ მკერდიანი.

– მე თმებზე გეკითხები.

– თმიანი მკერდი არ მომწონს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. ცხენის ალკაზმულობა; 8. მოსკოვის სიმბოლო; 10. ცალკეული შემთხვევა; 12. აზროვნების ორგანო; 13. გინეკოლოგი; 14. ექსპრომტი; 18. ქართული ზეპირსიტყვიერების პოეტური ჟანრი; 20. თარაშ ემხვარის ცხენი; 23. ფრთოსანი ქალ-ურჩხული ბერძნულ მითოლოგიაში; 24. განთიადი; 25. პატარა ზომის კენგურუ; 26. პირბადე; 27. მოსქო, ტკბილი ალკოჰოლური სასმელი.

**შვეულად:** 1. ისტორიული საბუთების საცავი; 2. საგრილობელი; 3. გაუშლელი ყვავილი; 4. მტრედების ოჯახის ფრინველი; 6. ავი სული, ეშმაკი; 9. გერმანული ავტო; 11. მკვრივი, წყალშეუღწევადი მინერალური მასა; 15. სპორტული, თეატრალური და სხვა შეჯიბრება; 16. უსინათლოების შრიფტის ავტორი; 17. ახმახი; 19. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 21. საეპისკოპოსო; 22. ნაჟონი წყალი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი